საერთო გაზეთი

№26 (665)
ოთხშაბათი
27 ივლისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ორმაგი სტანდარტი

ევროპულ-ამერიკული ფარისევლობა და „დეგნანისტთა“ მდედრიონი საქართველოში

თამამად შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოს 2000 ოფიციალური მოღალატე ჰყავს

შეტევა ბიძინა ივანიშვილზე

ვინც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ილაშქრებს, ის საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებს!

დემურ გიორხელიძე: ჩვენ დღეს შანსი გვაქვს ძალიან ძლიერი ქართული სახელმწიფო ავაშენოთ!

ჩვენ კიდევ იმ სისულელეს ვუკირკიტებთ, 12 პუნქტიანი გეგმა რომ ჰქვია

საქართველოს ომში ჩათრევის გეგმა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა

ნანა დევდარიანი: ნაცმოძრაობა თავის დროზე რომ გაგვეშვა პოლიტიკიდან, დღეს ქვეყანაში ასეთი საგანგაშო სიტუაცია არ იქნებოდა

გური ოტობაია: უმცირესობის დიქტატი

„დამთავრდება ომი, ყველაფერი როგორღაც დალაგდება, მოეწყობა და ჩვენ ყველაფერს, რაც გვაბადია... მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ ძლიერებას, გადავისვრით ხალხის გამოსათაყვანებლად“.

კაპიტან გიგაურის „გამოკვლევებულობა“ გოგაშვილის „მასალებზე“ დაყრდნობით

შეიძლება მალე გიორგი გახარიამაც სოსო გოგაშვილის ბედი გაიზიაროს

„სამყაროში არ არსებობს იარაღი და ფული, რომლის საშუალებით უკრაინა ამ ომში გაიმარჯვებს“

რედაქტორის სვეტი

ვახტანგ ხარჩილავა

სტანდარტულად, ამ ადგილას, რომელიც ახლა ცარიელია, რედაქტორის წერილი იბეჭდება.

ახლაც გამზადებული მქონდა ტექსტი, მაგრამ, როცა გაზეთში გამოსაქვეყნებელ მასალებს გავეცანი, ჩემი ტექსტის დაბეჭდვა საჭიროდ არ მივიჩნიე — ამ წერილებსა და ინტერვიუებში თითქმის ყველაფერია ნათქვამი, მათ შორის, ისიც, რისი თქმაც მე მინდოდა...

რატომ ჰგავს ერთმანეთს ამ ბევრი რამით განსხვავებული ადამიანების მოსაზრებები და დასკვნები?

იმიტომ რომ, თითოეული მათგანი ცდილობს, გულწრფელად და პატიოსნად თქვას სიმართლე, სიმართლე კი ერთია.

ჩემი აზრით, სწორედ სიმართლე, ფარისევლების, შინაური და გარე მტრების ბოროტი ზრახვების მხილებაა ის ერთადერთი საშუალება, რაც ქვეყანას ამ აბსუდული მდგომარეობიდან გამოსვლაში დაეხმარება.

საქართველომ, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე და ის, თუ რა განსაცდელს უმზადებენ.

ამის შესახებ „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებშიც ვისაუბრებთ.

ორმაგი სტანდარტი

ევროპულ-ამერიკული ფარისევლობა და „დეგნანისტთა“ მდედრიონი საქართველოში

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ბოლო დროს საქართველოში გაზშირდა მოწოდებები, რომ ხელისუფლებამ გააძევოს აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება სახელმწიფო გადატრიალება. მე არ ვიცი, რამდენად რეალური პროგნოზია, რამდენად რეალურ ინფორმაციას ეყრდნობიან ასეთი მოწოდებების ავტორები, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უახლოეს (სულ რაღაც 2-3 წელიწადს) წარსულს თუ გადავხედავთ, ევროპელი და აშშ-ელი პოლიტიკოს-ჩინოვნიკების ქცევებს თუ დავუკვირდებით, აშკარად დავინახავთ, რომ ისინი მართლაც მოწადინებულნი არიან რაღაცისთვის, რაღაცის გამო და რატომღაც - ყოველ შემთხვევაში, თვალნათლივ ჩანს, რომ ისინი არ აპირებენ ჩვენი სახელმწიფოს დაწყნარებას, დამშვიდებას, განვითარებას, სტაბილურობის დამკვიდრებას და

წამყვანი დარგების აღორძინებას. არა, მათი მიზანია, ყოველ წუთს დამოკიდებულნი ვიყოთ დასავლეთსა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, როგორც ფინანსურად, ასევე პოლიტიკურად. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ისინი არიან ჩვენი უფროსი „მეგობრები“, ისინი გვკარნახობენ, როგორ უნდა მოვიქცეთ და რაც მთავარია, რუსეთს როდის, რა დროს, რომელ საათზე უნდა ვუკბინოთ. იყო დრო, ზეპირსიტყვიერად, საზოგადოების მოსატყუებლად გვეუბნებოდნენ, ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობა თვითონ დაალაგეთ, ჩვენ არ ჩავერევითო. ჰმ... არ ჩავერევითო? რას ამბობთ, თუკი ვინმემ ხელისუფლებიდან მსგავსი რამ გულში გაივლო, ეგრევე „გააციმბირეს“, საერთოდ მოაშორეს, სადღაც გადაკარგეს, ლამის მიწის ქვეშ ამოდეს. ბუნებრივია, ასეთმა დამოკიდებულებამ ქართულ პოლიტიკურ სივრცესა და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ჩანერგა შიში უფროსი „მეგობრებისადმი“. მართალია, ჩვენ უცხოთა მიმართს შიში არც ისე გვაკლდა, მაგრამ მონური ფსიქოლოგია არ გვქონია, სოციალიზმის პერიოდშიც კი არ ჩამოგვყალიბებია. მეტიც, საქართველოში არც ერთი საბჭოთა ლიდერი არ შეურაცხავთ გენიოსად და ხელშეუხებელ პიროვნებად, ერთი სტალინი იყო და ისიც სულ სხვა მოვლენა გამოდგა, მის გაფეტიშებას მეორე მსოფლიო ომის მოგებამ შეუწყო ხელი, თანაც მთელ მსოფლიოში. ამით იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში სახელმწიფო მოხელეებს „წმინდანებად“ არ რაცხავდნენ, არც რაცხავენ და არც მომავალში შერაცხავენ, მიუხედავად იმისა, ძეგლებს უდგამდნენ თუ არა.

თუმცა!

რა ტენდენციაც ბოლო დროს შეინიშნება (მონობისადმი ლტოლვას ვგულისხმობ), მეტად საგანგაშო და შემაშფოთებელი რამ გახლავთ - თუ ადრე ისე გვმბრძანებლობდნენ, რომ რიგითი მოკვდავები ვერ ვგრძნობდით, ჩვეულებრივ მოქალაქეებს კულუარულ ამბებში არ გვახედებდნენ, ახლა ყველაფერს ფარდა აეხადა, ყველამ ნიღაბი ჩამოიხსნა და თქვენ წარმოიდგინეთ, დასავლური თუ ამერიკული ფასეულობებიც უმალ გაუფასურდა. არ დაიჯერებთ, მეფე გაშიშვლდა!

იძულებითი გადახვევა

ქალბატონ კელი დეგნანს საქართველოში მდედრი ფანები ჰყოლია, მიდი-მოვდივარ!

აშშ-ის ელჩი მხოლოდ ორჯერ გავკიცხე (გავაკრიტიკე), მხარედ ნუ იქეცით, მკვლლებისა და გამაუპატიურებლების მხარეს ნუ იჭერთ, ასე არ ვარგა, ჩვენ უკეთესად ვიცით, ვინ რას წარმოადგენს, იქნებ დროა, შინ დაბრუნდეთ-მეთქი?

გარდა ამისა, არ გაქვთ უფლება, ჩვენი ქვეყნის შინაურულ საქმეებში ასე უხეშად ჩაერიოთ-მეთქი!

საზოგადოების ნაწილს ჩემი წერილები კი მოეწონა, მაგრამ ამავე დროს „დეგნანისტ“ მდედრთა რისხვაც დავიმსახურე.

ისაო... ქალბატონ კელის რომ ეუბნები, შინ წადიო, ვის ელოდები, ზახაროვასო? მარია ზახაროვა გახლავთ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორი.

ამით მიმანიშნეს, რუსეთუმე ხარო!

მიმანიშნეს და თანაც ძახილის ნიშნით, ანუ განმირისხდნენ.

„დეგნანისტთა“ მეორე ნაწილმა თითების ქნევით დამამუნათა, დღემდე რომ მოვაღწიეთ, მისი (მათი) დამსახურებაა, ამ ქალბატონზე ღლიცინი შენ ტენდენციად აქციე და ამით ძალიან დიდ დანაშაულს სჩადიხარო!

ესე იგი... თურმე, მე, საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე აშშ-ის ელჩს რომ მოვუწოდებ, თავს ამდენის უფლებას ნუ აძლევთ-მეთქი, ეს ყოფილა დანაშაული. მეტიც, თურმე ტენდენციად ვაქციე ჩვენს



სტრატეგიულ პარტნიორებზე ღლიცინი!

თურმე ხუმრობანარევად რამეს თუ დავწერ, ეს არის ღლიცინი, ანუ მე მუდმივად ვღლიცინებ!

ცხოვრებაში უკვე იმდენი გამოვიარე, მონობის ძალიან ბევრი ნიმუში ვნახე... რაც ვერ ვნახე, რაც ჩემამდე იყო, წავიკითხე, ან ფილმებს ვუყურე...

მაგრამ!

მონობისკენ ასეთი ლტოლვა არასდროს მინახავს!

ელჩმა რაც არ უნდა თქვას, მართალია!

დიახ, მართალია იმიტომ, რომ ის წარმოადგენს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, რომელმაც გადაგვარჩინა. ისინი გენიოსები არიან. მათ განცხადებებში ეჭვი არ უნდა შეიტანო, ეს დანაშაულია!

ადრე მეჩხუბებოდნენ, საბჭოეთმა გადაგვარჩინაო, მანამდე შთამაგონებდნენ, რუსეთმა გადაგვარჩინაო... სანამ რუსები მოვიდოდნენ, თითს ისპაჰანისკენ იშვერდნენ, ჩვენი ქვეყნის ბედი იქ წყდებაო. მანამდეც იყო ადგილები, სადაც გურჯისტანის ბედი წყდებოდა, მაგრამ ყველას ვერ ჩამოვთვლი, შეგვრცხვება!

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ისეთმა ქალებმა შემომიტიეს, მათ აზროვნებაზე უფრო მეტი წარმოდგენა რომ მქონდა და თანაც ახლობლებად ვთვლიდი. არ ვიცი, შეიძლება კარგადაც აზროვნებენ, შეიძლება უფრო განათლებულები არიან, მაგრამ როცა ელჩზე რამეს იტყვი, თუნდაც გააკრიტიკებ და ეგრევე მოგახლიან, შენ რუსეთუმე ხარო, იქ ყველაფერი მთავრდება. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა!

მიუხედავად ყველაფრისა!

როდესაც ვხედავ, როგორ იქცევა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის მიერ წარმოგზავნილი პერსონა, როდესაც მხარს უჭერს საქართველოში გადატრიალებას და ე.წ. რევოლუციონერებთან სურათებსაც კი იღებს, ვიღლიცინებ კი არა, ქვას ქვაზე დავუდუღებ!

როდესაც ვხედავ, ის მხარს უჭერს ჩემი ქვეყნიდან დიდი ქველმოქმედის გაძევებას, მის მიმართ სანქციების დაწესებას, ვერ გავუტარებ, ვერ მოვუთმენ!

ქველმოქმედიც რომ არ იყოს და ნებისმიერი ქართველის გაძევებას დაუჭიროს მხარი, ამასაც ვერ გავუტარებ, რადგან ეს არ არის მისი საქმე!

არ ეხება!

კი ეძახიან მეფის ნაცვალს, მაგრამ არც მისი შეფია საქართველოს ხელმწიფე და არც თვითონ გახლავთ მისი ნაცვალი. ეტყობა, ვიღაცებმა მოატყუეს და ამანაც დაიჯერა.

კი, ბატონო, მე, როგორც ერთი რიგითი ადამიანი, პატივს ვცემ, ვინც წლების განმავლობაში გვეხმარებოდა და ახლაც გვეხმარება, მაგრამ ის დახმარება არ ითვალისწინებს ტოტლებენურ მიდგომებს - არ უნდა მომატყუო, არ უნდა გადამაგდო, რევოლუცია არ უნდა მომიწყო, ქვეყნის მოღალატეებსა და მტრებს არ უნდა შეეკრა!

შეიძლება გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენზე ქალბატონმა ელჩმა არაფერი იცის, ვინმემ წაუკითხოს. ჩვენ ძალიან ბევრი ღალატი გვაგემეს, ტოტლებენი უბრალოდ „კარგი“ ნიმუშია!

ჩვენ ვალში არავისთან ვართ, სადაც კი დემოკრატიის სახელით თოფი გავარდა, ყველგან მშვიდობის სადარაჯოზე დავდექით, თავი არსად შეგვირცხვენია, იმაზე მეტად გავისარჯეთ, იმაზე მეტი სისხლი გავიღეთ, ვიდრე გვეკუთვნოდა და საერთოდ გვეკუთვნოდა კი? რაც ავღანეთში მოხდა, რაც ამ გაუბედურებულ ქვეყანაში დაატრიალეს, გვესაქმებოდა კი იქ რამე?

ახლა აქეთ გვეუფროსებიან, აქეთ გვედიდგულებიან და იმასაც კი ცდილობენ, თავზე ისევ ჩამოწერილი, ამორტიზებული დუპლეტები დაგვასვან!

დიახ, ტოტლებენური მიდგომაა, როცა თავს ჩემი ქვეყნის მეგობრად ასაღებ და ამავე დროს მსოფლიოს გასაგონად მიცხადებ, რომ თურმე... დემოკრატიაში, პლურალიზმსა და სიტყვის თავისუფლებაში აზერბაიჯანს ჩამოვრჩებით. ასევე ჩამოვრჩებით ოპოზიციური ტელევიზიების ინდექსებში. გაიგონეთ? აზერბაიჯანში, სადაც ოპოზიცია, ოპოზიციური ტელევიზიები და თავისუფალი სიტყვა საერთოდ არ არსებობს, თურმე უფრო მეტი დემოკრატიაა, ვიდრე საქართველოში. იმ საქართველოში, სადაც დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ხშირად თავაშვებულობამდეც კი მიდის.

აქ აშკარად საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან და ვირეშმაკობასთან, რადგან ევროპა დღეს გაზის გარეშეა დარჩენილი, მკაცრი ზამთარი ელოდება და ჩვენი პარტნიორები ცდილობენ, გაზი აზერბაიჯანიდან წაიღონ. აი, ამიტომ იქცა ჩვენი მეზობელი ქვეყანა დემოკრატიის ოაზისად. ჯერ ისიც საკითხავია, რანაირად მიაწვდის აზერბაიჯანი ბუნებრივ აირს ევროპას რუსეთის გვერდის ავლით და თანაც დაუკითხავად? ესენი ომში საქართველოს ჩათრევას ცდილობდნენ და არ არის გამორიცხული, ილჰამ ალიევი გახვიონ საომარ დავიდარაბაში!

აზერბაიჯანს შევეშვათ, ჩვენი მართლა პარტნიორია, მეზობელია და დიდ პატივსაც ვცემთ. ამავე დროს, ნუ გამოვრიცხავთ, უახლოეს ხანში საქართველო ისევ გახდეს დემოკრატიული ოაზისი, რადგან ის მილი, რომლითაც ევროპამ აზერბაიჯანული გაზი უნდა მიიღოს, გადის ჩვენს ქვეყანაზე. რა გამოდის? ევროპა და აშშ ლაპარაკობს იმის მიხედვით, რა დროსაც როგორ აწყობს. ეს გახლავთ ორმაგი, სამმაგი და ოთხმაგი სტანდარტი. ასეთივე სტანდარტებით მოქმედებს საქართველოს ე.წ. მეფის ნაცვალი კელი დეგნანი... უფრო სწორად, უცხო ტომის ქალი, რომელსაც თავი დედოფალი ჰგონია. ვიმეორებ: როგორც ჩანს, ვიღაცებმა უთხრეს, თქვენ საქართველოს დედოფალი ბრძანდებითო და დაიჯერა.

●

დავუბრუნდეთ ორმაგ სტანდარტიანობას, რას ასე მოდურად დამკვიდრდა საქართველოში ევროპელი და აშშ-ელი პოლიტიკოს-დიპლომატების მეცადინეობით. 20 ივლისს ევროპარლამენტართა ერთი ჯგუფი ეწვია საქართველოს. სანამ ესენი თბილისში ჩამოვიდოდნენ, ძალიან მრისხანე განცხადებებს აკეთებდნენ - დავიწყოთ ევროკავშირის ვადაგასული ელჩით, კარლ ჰარცელით, რომელმაც ლამის აგვიკრძალა კელი დეგნანის ხსენება და აქვე დასვა შეკითხვა: რას ნიშნავს ელჩის კრიტიკა აშშ-საქართველოს ურთიერთობებისთვის და საქართველოს დასავლური მომავლისთვის?

დაუკვირდით შეკითხვის პათოსსა და ფორმას, აქვეა პასუხიც - ელჩის კრიტიკა კარგს არაფერს მოასწავებს.

ევროდეპუტატთა ნაწილი ფიქრობს, რომ მმართველი ძალისთვის ეს არის დიდი შეცდომა დემოკრატიის გზაზე. გახსოვთ, რა თქვა მამა ბუშმა ზვიად გამსახურდიაზე, როცა ქართული ინტერესების გატარება მოინდომა? ეგ კაცი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. როგორი იყო გამსახურდიას პასუხი? დინების მიმართულებით მკვდარი თევზები ცურავენო. როგორი იყო შედეგი? სავალალო!

მე პირადად დარწმუნებული ვარ, ამათი ლაი-ლაი ვერ იქნება სავალალო, ახლა სხვა დროა, მაგრამ ხომ ცდილობენ? ახლა ბარემ იმასაც გეტყვით, რას ცდილობდნენ, რას ცდილობენ და რას ეცდებიან: დიახ, ესენი, ჩვენი ე.წ. სტრატეგიული პარტნიორები და გულმხურვალე მეგობრები ეცადნენ, საქართველო როგორმე გაუგებარ ომში ჩაეთრიათ, რუსეთი უფრო მეტად გაემწარებინათ, ამ გამწარების ფონზე უამრავი რამ ჩამოეწერათ, კაი ფული გაეკეთებინათ და მთელი კავკასია აეწიოკებინათ. არ გამოუვიდათ და რაკი არ გამოუვიდათ, ეცადნენ, საქართველო შიგნიდან აერიათ, ხელისუფლება აეყირავებინათ, ავანტიურისტები დაებრუნებინათ და რუსეთისთვის ომი გამოეცხადებინათ, დაახლოებით ისევ ის სცენარი გაეთამაშებინათ, 2008-ში რომ გაითამაშეს. ჯერ ე.წ. პოლიტიკოსები აწვალეს, ფული აყარეს, ქუჩაში ხალხი ვერ გამოიყვანეს, ჩაფლავდნენ. მერე ე.წ. ჟურნალისტთა კორპუსი აყარეს, რუსთაველზე არბენინეს, მუსკულები ათამაშებინეს, ინგა გრიგოლიას თამადობით ხელები დააკაპიწებინეს, აქაც დიდი ფული დახარჯეს, ისევ ჩაფლავდნენ, ისევ ვერაფერი გააკეთეს. მესამე ჯერზე ე.წ. არასამთავრობები გამოიყვანეს, რუსთაველზე ვინმე მაქარაშვილი (მაქარიანი) და ასევე ვინმე დიღმელაშვილი (გაგარინი) ახავლეს, ეგონათ, ესენი რამეს წარმოადგენდნენ. ფულები ჩაურიცხეს, თბილისში ბინები უყიდეს, ოჯახები მოუკითხეს, კანფეტებიც ჩამოურიგეს, მაგრამ ჩემი ფეხები, ისევ ჩაფლავდნენ!

ახლა დილემის წინაშე არიან, ვერ გაუგიათ, კიდევ რომელი ფენა „დაასაქმონ“, კიდევ რომელი ავანტიურისტული ჯგუფი გამოიყვანონ, კიდევ ვის დაავალონ რევოლუციის „მოხდენა“. რა ქნან? ვერავინ „ახდენს“ რევოლუციას საქართველოში. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ამ ეტაპზე, სანამ ვინმეს აღმოაჩენენ, ეს „მძიმე“ მისია თავად ევროპარლამენტარებმა იკისრეს და ამაში სალომე ბაბოსაც იყენებენ, რომელიც ბოლო დროს საკუთარ ქვეყანას კი არ იცავს, ევროპარლამენტარებისა და აშშ-ის ელჩის დაცვაზეა გადასული. დიახ, ჩვენს დიდი წვალებით არჩეულ პრეზიდენტზე მოგახსენებთ, რომელიც უკვე დამოუკიდებელი პოლიტიკოსის როლშია შეჭრილი და უკან ვეღარ/აღარ გამოდის. მისი თქმით, აშშ-ის ელჩის კრიტიკის ფორმა არასწორია, თუ კონკრეტული მტკიცებულებები არსებობს, მთავრობა ელჩს არა მედიის საშუალებით, არამედ - პირადად უნდა ესაუბროს:

„ჩვენი მეგობრები არიან ჩვენი მეგობრები და ჩვენ სხვა მეგობრები არ გვყავს“.

აი, ასეთი სიბრძნე უკვე მეორედ წამოსცდა ჩვენს „უმფროსს“, პირველი ის იყო, ყველგან რომ შეგიძლია გათხარო, მეორე კიდევ ეს არი - მეგობრები არიან მეგობრები და ჩვენ სხვა მეგობრები არ გვყავს. ჩვენ სხვა მეგობრები არ გვყავს? მხოლოდ აშშ-ელებთან ვმეგობრობთ? აბა, ფრანგები? იტალიელები? ყაზახები? ვინიტუ ინჩუჩუნას ვაჟები? აზერები? სომხები? ბოლოს და ბოლოს - გერმანელები?!

5 ბ3.



ნაცმოძრაობა თავის დროზე რომ გაგვეშვა პოლიტიკიდან, დღეს ქვეყანაში ასეთი საგანგაშო სიტუაცია არ იქნებოდა

გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:

— ქალბატონო ნანა, რით აიხსნება ევროკავშირის გადაწყვეტილება ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით?

— რას ნიშნავს თავად, 12-პუნქტიანი დავალების ვადის გახანგრძლივება. საქმე ისაა, რომ რეალურად, ეს „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული შანსი სულაც არ გახლავთ. აშკარაა, ოთხ თვეში რაიმე შეთანხმების მიღწევა სრულიად არარეალურია. ევროპა გვეუბნება: პოლარიზაცია აღმოფხვერითო. თუმცა, ოპოზიციადწოდებული პარტიები, რომლებიც ხელისუფლებაში დაბრუნების გარდა, სხვა არაფერზე ფიქრობენ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ არც პოლარიზაცია მოიხსნას და ბიძინა ივანიშვილიც მძიმე ვითარებაში ჩააგდონ. ფაქტობრივად, გაუცხადებლადაც ჩანს, რომ მათი ტაქტიკა ივანიშვილის გაკოტრებისკენ არის მიმართული. მათ მიაჩნიათ: დიდი ფულის პატრონი ივანიშვილი ყოვლისშემძლე ფიგურაა, მაგრამ საკმარისია ფინანსები გამოაცალო და მისგან აღარაფერი დარჩება. ეს გახლავთ მათი ლოგიკა. ყველაფერი აქეთკენ მიდის.

თუ ეს ყველა ღირებულება, მათ შორის, კერძო საკუთრების მიმართ დამოკიდებულება, ფასს კარგავს, მაშინ საერთოდ, რომელ ევროკავშირზეა ლაპარაკი?! აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ საფრანგეთში ევროკავშირიდან გასვლაზე საუბარი, უკვე, დაიწყო. გერმანია და საფრანგეთი თუ ევროკავშირში არ იქნება, აბა, ბულგარეთს, რუმინეთს ვინ შეინახავს?! დავუბრუნდეთ, კანდიდატის სტატუსის საკითხს. რას ცვლის ყოველივე უკრაინისთვის, რომელიც როგორც სახელმწიფო ჩვენს თვალწინ იშლება, ნადგურდება. პროპაგანდის მანქანა ამბობს: ვითომ, უკრაინა ომს იგებს. თუმცა, ამ ქვეყნის ხელისუფლება თავად ამბობს: ჩვენ, აღსადგენი გვაქვს ათასი დიდი და 2500-ზე მეტი პატარა ქალაქი და სოფელი. ხომ უნდა მიხვდე, რა მასშტაბებზეა ლაპარაკი. ბოლოს, ყველაფერი ფულთან მიდის — უნდა მიიღონ ეს მილიარდები, რომელსაც ჩვენი შემთხვევის მსგავსად, კაცი ვერ გაარკვევს, ვინ, სად გაიტანს. საქართველოში, ომის შემდეგ, დევნილების დასახლებები ხომ გააკეთეს, ამ საქმეში უამრავი ბიზნესმენი ჩართეს, რაღაცები ააშენებინეს და მერე, აღარ გაისტუმრეს. ეს კიდევ ერთი ყაჩაღობაა. სამაგიეროდ, „ნაციონალებმა“ ქვეყნიდან მილიარდები გაიტანეს, რითაც ათი წელია უმტკივნეულოდ ინახავენ არაერთ ტელევიზიას, პარტიულ ოფისს, მხარდამჭერებს, აქციებსაც ამ ფულით მართავენ და ა.შ. ასეთია ვითარება.

— ნაცები პირიქით ფიქრობენ: რუსეთი იშლება და ჩვენც გვეშველებაო.

— რუსეთი დაიშლება — ეს თავის დამშვიდება და მომხრეების მოტყუებაა, მეტი არაფერი. ახლო მომავალში, ასეთი პერსპექტივა არ ჩანს. რომელი ქვეყანა იშლება ომის შედეგად, ყველანი ვხედავთ. აქ, უკვე, დონეცკზე და ლუგანსკზე აღარ არის ლაპარაკი, არამედ სხვა ტერიტორიების დაკავებაზეც. რუსეთი რომ დაიშალოს, ჩვენ, ყველაზე ნაკლებად გვაწყობს მეზობლად უკონტროლო რესპუბლიკები. გვახსოვს პერიოდები, როცა ჩრდილოეთ-კავკასია არ კონტროლდებოდა და ვიცით, რა დღეში იყო მაშინ საქართველო.

— 12-პუნქტიანი ულტიმატუმი შემოგვაჩეჩეს, თუმცა, მინიმუმ 4-5 პუნქტი შეუსრულებადია. მაშინ, რისთვის მოგვცეს ასეთი დავალება?

— კანდიდატობა რომც მივიღოთ, მერე, რა ხდება?! ალბანეთი რამდენი წელია კანდიდატია, ასევე, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები. მილიარდებს დაგვაყრიან თავზეო — იძახიან, არადა, ევროპაში გაგანია ინფლაცია, კრიზისია. ადამიანურ ენაზე რომ გადავთარგმნოთ, ეს 12 პუნქტი შემდეგს ნიშნავს: ოპოზიცია დეპოლარიზაციაზე არ წავა, ამიტომ, პირდაპირ, ჩაბარდითო. ანუ, ბიძინა ივანიშვილიან-ხელისუფლების ყველა შტოიანად „ნაციონალებს“ ჩაბარდითო. მერე, უკვირთ: ანტიდასავლური განწყობები რატომ მატულობსო. გვეუბნებიან: სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ დასავლური ძალაა და „ქართული ოცნება“ პრო-რუსულიო. არადა, ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს. ნაცები რუსებს ლანძღავდნენ და სინამდვილეში, მათ საქმეს აკეთებდნენ. ახლა, ჩვენ გვიკიჟინებენ: გინდა თუ არა, ომში ჩაებიო. საკმარისია, ყველას ნაცვლად ჩვენ ხომ ვერ ვიომებთ?! აქეთ, დასავლეთი გვეუბნება: როგორ გეკადრებათ, ჩვენ, არ გვითქვამს ომში ჩაერთეთო. იცი რა არის, ჩვენი ოპოზიცია დასავლეთში დარბის კონსულტაციებზე, ის კი ჯიუტად ომს ითხოვს! უკრაინის ხელისუფლებაც, რომელიც ასევე მიბმულია დასავლეთზე, დაჟინებით ითხოვდა: მეორე ფრონტი გახსენით, აფხაზეთში და სამხრეთ-ოსეთში შევარდითო. აბა, დეგნანი პირდაპირ არ გვეტყოდა: ახლავე, ომში ჩაებითო. სამაგიეროდ,მან ახლახან, განაცხადა: საქართველო და უკრაინა ამ ომში ერთიანი უნდა იყვნენ და ვინც ამას ეწინააღმდეგება, რუსული ნარატივიაო.

— როგორ ფიქრობთ, დასავლეთს საქართველოს დასჯა სურს იმისთვის, რომ ომში არ ჩავერთეთ?

— არ ვიცი, საქართველოს დასჯა რამდენად სურს, მაგრამ „ქართული ოცნების“ რომ ნამდვილად უნდათ, ეს უკვე გამოიკვეთა. მე, „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი ვარ. ჩვენი ლიდერები „ქართულ ოცნებას“, მუდმივად, ვაფრთხილებდით, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელებული დათმობები ამ ვითარებამდე მიგვიყვანდა. ამიტომ, დამნაშავე ნაცებს რომ არ დასჯი, მოეფერები, სათბურის პირობებს შეუქმნი, როგორც თავად ქართული ოცნება“ ამბობს, ზურგით ათრევ და პარლამენტში შეიყვან, მერე, მოგიტრიალდება და იმას გააკეთებს, რაც სახეზე გვაქვს.

— ოპოზიცია სექტემბრიდან მასობრივი დაუმორჩილებლობისთვის ემზადება. შედეგი რა იქნება?

— ამ ოპოზიციისგან სხვას რას უნდა ველოდოთ. მათ ხალხის მობილიზება ძალიან უჭირთ, თუმცა, ბიძინა ივანიშვილზე, „ქართულ ოცნებაზე“ გაძლიერებული წნეხი, ზოგადად, იმედს აძლევთ, რომ რაღაცას გამორჩებიან. მათ კოალიციური მთავრობა სურთ, რითაც ფაქტობრივად, ყველა ძალოვან სამინისტროს ითხოვენ. ნაცებს და მის მეგობარ პარტიებს სურთ, ეს სტრუქტურები „ქართულ ოცნებას“ ხელიდან გამოაცალონ. ეს, დაახლოებით, იგივეა, რომ მერე, მთელ ხელისუფლებას დაეპატრონონ. ხელისუფლებაში ყოფნისას, ძალოვანი სტრუქტურების მეშვეობით რასაც აკეთებდნენ, კარგად გვახსოვს. ყველაფერი აქეთკენ მიჰყავთ — შანტაჟითა და მუქარით ყველა ინსტრუმენტს იყენებენ.

— ვაშაძემ ბრძანა: რიგგარეშე არჩევნების გზით უნდა წავიდეთო.

— ვაშაძის განცხადებების სერიოზული ანალიზი მიჭირს, ამიტომ, მოკლედ გეტყვით: ასე ხდებახოლმე, როცა ნულოვან-რეიტინგიან პარტიებს სამ-სამ პროცენტს ჩამოურიგებ, „პატრიოტთა ალიანსს“ კი ხმებს ჩამოაჭრი. „პატრიოტთა ალიანსმა“ ორჯერ შეიტანა პარლამენტში რეზოლუციის პროექტი, რათა ნაცების რეჟიმი დამნაშავედ გამოცხადებულიყო. რეჟიმს თავის სახელი უნდა დარქმეოდა და ახლა, ამ მდგომარეობაში აღარ ვიქნებოდით.

— ამ ყველაფრიდან რა გამოსავალია?

— გამოსავალი ერთადერთია — ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრად უნდა დაბრუნდეს. ამით, მის არაფორმალურ მმართველობაზე ლაპარაკი დამთავრდება. მან უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წაძღოლაზე, განახორციელოს საჭირო ცვლილებები, გაატაროს რეფორმები, ჩაატაროს არჩევნები. თორემ, ამ სიტუაციიდან სხვა გამოსავალი არ ჩანს, ვიმეორებ: ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს.

— ქალბატონო ნანა, რუსეთი დაუშვებს ბრძოლით მოპოვებული კონტროლი ლიბერალებს ჩააბაროს?

— რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა, რაც ჩვენთვის ყველაზე მძიმე ფაქტორია. ხელისუფლებამ, პირველ რიგში, ამაზე უნდა იფიქროს და მერე, ევროკავშირის რეკომენდაციებზე. მათ, კანდიდატის სტატუსი ტემპერატურის ასაწევად სჭირდებათ. ჩვენ, სხვა რამ გვინდა — ნორმალური, გამთლიანებული საქართველო, სადაც აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები იქნებიან და არა მტრები. რაც შეეხება რუსეთისგან კონტროლს, შეგახსენებთ: უკრაინისგან განსხვავებით, როცა საქართველომ, ახალი ხელისუფლების პირობებში, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელი მოაწერა, რუსეთს პრეტენზია არ ჰქონია. ეს ასე მარტივი არ არის. იანუკოვიჩს ევროპა არ უნდოდა და რევოლუცია მოაწყვეს. უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომლებმაც ჩვენსავით კონსტიტუციაში ჩაწერეს, რომ მათი მიზანი ნატოში გაწევრიანებაა. არადა, რეალურად, მიზანი უნდა იყოს დაცული, ადამიანზე ორიენტირებული სახელმწიფო, კეთილდღეობა და მშვიდობა. რუსეთს ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭება არც სცივა, არც სცხელა. იციან, რომ ეს სტატუსი ბევრს არაფერს ნიშნავს.

— პრეზიდენტმა განაცხადა: ასეთი რამ არსად მსმენია, ხელისუფლება ამერიკის ელჩს თავს ესხმოდესო. რას ფიქრობთ ყოველივეზე?

— ამერიკის კი არა, ისეთი ქვეყნის ელჩები ბედავენ ჭკუა დაგვარიგონ, გაოცდებით. ჯერ კიდევ გუშინ რომ გახდი ევროკავშირის წევრი, და უცებ, მე, მარიგებ ჭკუას — როგორ უნდა გახდეთ ევროკავშირის წევრი, ჯერ გორში სტალინის სახლ-მუზეუმი დახურეთო. მაინტერესებს, ფრანგებს თუ დაარიგებს ჭკუას: ნაპოლეონის საფლავი დახურეთ, აქედან, გადაასვენეთო. ან, აბა, ბელგიაში დაუქნიოს ვინმეს თითი — მეფე ლეოპოლდის ძეგლები დაანგრიეთო. ჩვენ გვნახეს თავში წამოსარტყმელები?! — ასეც არ არის საქმე.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ორმაგი სტანდარტი

3 გვ.

ხუმრობანარევი გადახვევა

ბოლო დროს სამი რამ მაშფოთებს: პირველი - თვითმფრიონავის ტრაპიდან არ დაგორდეს და კუდუსუნის ძვალი არ დაიზიანოს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, ბოლო-ბოლო, მეორე ვადით აპირებს „უმფროსად“ ყოფნას; მეორე - საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ისეთი არაფერი თქვას, პირები დაგვაფჩენინოს ახალ წლამდე; მესამე - აშშ-დან ჩვენთან ელჩად გამოგზავნილი კელი დეგნანი ისე არ გავარდებოდეს საქართველოდან, მხოლოდ წალენჯიხის მერს არ დაეშვიდობებოდეს.

აი, ხალხო, მხოლოდ ეს არის ჩემი საფიქრალ-სადარდებელი, მეტი აღარაფერი მაწუხებს.

●

მიუხედავად კელი დეგნანის გადიდქალებისა და სწორი გზიდან გადახვევისა, ის მაინც აცხადებს, რომ აშშ-ის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ ურყევია. თქვენი არ ვიცი და... მე ეს სიტყვა („ურყევი"!) ბალღობიდან მახსოვს, რადგან ძალზედ ხშირად ხმარობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებზე, თუ არ ვცდები, სულ 28-ჯერ ჩატარდა, ბოლო იყო 1990 წელს და ეგრევე დალია სული.

ჰოდა, იმის თქმა მინდოდა... ვუყურებ ამ ევროპელ თუ აშშ-ელ პოლიტიკოსებს და ისეთი შეგრძნება მაქვს, ისევ ისინი მობრუნდნენ - კომუნისტები. ყოველ შემთხვევაში, უკვე ვთქვი, ქცევებიც უარესი აქვთ და ტერმინოლოგიაც თითქმის იგივეა, ადრეც ნათელ მომავალს გვიწინასწარმეტყველებდნენ, ადრეც კომუნიზმს გვპირდებოდნენ, ადრეც ყველა დაპირება ურყევი იყო და ახლაც ყველაფერი ასევეა - ისევ რაღაცას, ანუ კაი ცხოვრებას გვპირდებიან, თუ კავშირში შემოსვლა გინდათ, თავები ჩაჰქინდრეთ და რასაც გეტყვით, ის გააკეთეთ, ურჩობა არ იყოსო. კელი დეგნანმა მაინც არ გაგვწირა, ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას საქართველოსთან, რათა ის გახდეს ნატოს და ევროკავშირის წევრიო, ჩვენ კარგი პარტნიორობა გვაქვს წლების განმავლობაში იმის მიუხედავად, თუ რომელი პარტიაა ქვეყნის სათავეშიო. რაღა დაგიმალოთ და... მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა აშშ-ის ელჩის მიმართ, მან ცოტა არ იყოს, „დაზადნასავით“ - ჩვენაო, ისაო და ესაო, მეგობრები ვართო. არადა, მეგობრობა არსებობს ორმხრივი, თბილისის საქალაქო სასამართლოში უცხო ქვეყნის ელჩის წარმომადგენელს რომ კაბინეტი აქვს და სიტუაციას აკონტროლებს, ეგ არ არის ორმხრივი მეგობრობა და საერთოდაც არ არის მეგობრობა, ეს არის ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვა, ქართველი ხალხის შეურაცხყოფა და მასხრად აგდება. გამოდის, ეს არ გახლავთ ერთადერთი შემთხვევა, დარწმუნებული ვარ, ასე იყო დღემდე, მთელი 30 წლის განმავლობაში, უბრალოდ ახლა გამოაშკარავდა.

აი, ესეც გახლავთ ორმაგი სტანდარტის საუკეთესო ნიმუში. ამას კახურად ორტრაკიანობა ჰქვია. ესე იგი, შენ მეუბნები, სასამართლოში რეფორმა უნდა გაატარო, გარდაქმნა, სრულიად დამოუკიდებელი გახადოვო და ამავე დროს თვითონ ერევი ამავე სასამართლოს საქმიანობაში? ეგ სადაური წესია? ხან მგონია, რომ ამათ საქართველოში მონობის შემოღება უნდათ, ბატონ-ყმობისა კი არა, მონობისა. არადა, ჩვენში მონობა არასდროს ყოფილა, ეგ ამერიკული წეს-ჩვეულებაა, ლამის 1970-იან წლებამდე რომ არსებობდა.

სხვათა შორის, აშშ-ელებს ერთი მავნე ჩვევაც ახასიათებთ - წინა პლანზე ყოფილ ჩინოვნიკებს, ელჩებს თუ პოლიტიკოსებს (ხშირად გენერლებსაც) გამოიყვანენ ხოლმე და იმდენ სისულელეს ალაპარაკებენ, კაცს ხასიათი წაგიხდება, ხან კი იფიქრებ, ნუთუ ეს არის ამერიკული დემოკრატია? ცოტა ღრმად თუ წახვედი ფიქრებში, შეიძლება უსიამო შეგრძნებებიც დაგეუფლოს, ესენი პირდაპირ რუსულ საქმეს ხომ არ აკეთებენ? განგებ ხომ არ გვაძულებენ დასავლეთსა და დასავლურ ღირებულებებს? საქართველოში ადრე ელჩად გამოგზავნილი იყო ვინმე იან კელი, რომელიც არ ისვენებს, ისეა შეჭრილი როლში, უკან ვეღარ გამოდის. თქვენ წარმოიდგინეთ, ის საქართველოს დასავლურ მომავალთან დაკავშირებით მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და ამის მიზეზი თურმე ის არის, რომ ქართველ ხალხს სურს იყოს არა რუსული სამყაროს, არამედ დასავლეთის ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი ხელისუფლების წევრები საუკეთესო მეგობრებს ხელს კრავენ. გესმით? ხელისუფლება ხელსა და პანჩურებს კი იკვრევინება, მაგრამ მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევს. ასე ჰგონია მისტერ კელის. აი, ახლა ამ ბებერ დიპლომატს ცოტაოდენი ანალიზის უნარი რომ ჰქონდეს, ხომ უნდა იფიქროს, თუ ხალხი ხელისუფლების წინააღმდეგია, მაშინ რატომღა აძლევს ხმას ყოველ არჩევნებში? ნუთუ ვადაგასულ ელჩსაც ჰგონია, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს კარტოფილით და ხახვით აყალბებს? თუ ასე ჰგონია, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ იგი ტყუილად მჯდარა 4 წელიწადი თბილისში, არცა რა გაუგია, ვერცა რა დაუნახავს და საერთოდ, ქართველი ხალხი საერთოდ ვერ გაუცვნია. ასეა... ჩამოდიან, ლაყბობენ, რაღაცებს გვპირდებიან, მიედ-მოედებიან, სადღეგრძელოებს გვეუბნებიან და ისე მიდიან, „გამარდჟობა“-ს და „ხაჩაპური“-ს გარდა ვერაფერს სწავლობენ. მერე ისევ გადმოდგებიან ხოლმე ღობის იქიდან და ჭკუაზე გვარიგებენ, თან ბრძანებებსაც იძლევიან.

გეგონება აქედან გადაშენებულები არ გვეყოფა, ბოლო დროს უკრაინიდან წასულებიც გვიტრაკებენ - მაგალითაც, ვინმე ჯონ ჰერბსტი, ელჩად უკრაინაში მუშაობდა, ბრძანებას იძლევა, რომ საქართველოს რადაც არ უნდა დაუჯდეს, უკრაინას უნდა დაეხმაროს. ეს ყავლგასული დიპლომატი რეკომენდაციებსაც გვიგზავნის:

„ჩემი რეკომენდაცია საქართველოს მთავრობისთვის ასეთია -დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ თავდასხმა ამერიკის ელჩზე და დაიწყეთ იმ ნაბიჯების გადადგმა, რომელთა განხორციელებაც ევროკავშირმა გირჩიათ იმისთვის, რომ კანდიდატის სტატუსი მოიპოვოთ“!

ხედავთ, რანაირ რეკომენდაციებს იძლევიან? ხდავთ, როგორ გვმბრძანებლობენ? სიტყვას იქით, რომ შეუბრუნებ და ეტყვი, თქვენ ომში ჩათრევას გვიპირებთო, ხელებს გაასავსავებენ, ხოლმე - რას ლაპარაკობთ, ეგ ვინ თქვაო? აგერ, კელი დეგნანმა თქვა კიდევ ერთხელ:

„როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია, რომ ახლა საქართველო და უკრაინა იყოს ერთიანი რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ორივე ქვეყანამ იცის, რას ნიშნავს, იყო რუსეთის მიერ ოკუპირებული და საქართველოსა და უკრაინას შორის ნებისმიერი დაყოფა ახლა რუსეთის მიზანს ემსახურება“.

ამიხსენით, არ არის ეს ომში ჩათრევის მცდელობა? არ არის ეს პირდაპირ ნათქვამი, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ უკრაინის გვერდით? აქეთ გვარიგებს ჭკუაზე, თქვენ იცით, რას ნიშნავს, იყო რუსეთის მიერ ოკუპირებულიო.

სულო ცოდვილო, არ მინდა, ამაზე ვიფიქრო ხოლმე, მაგრამ უნებურად მეფიქრება, ნეტავ 2008-შიც ამათ ხომ არ გაატუტუცეს ისედაც გატუტუცებული მიხეილ სააკაშვილი, ამათ ხომ არ დააწყებინეს ომი რუსეთთან და მერე მიატოვეს? უბრალოდ მაშინ ამდენი რამე არ გამოაშკარავდა, მაშინ ამდენი არ უწვალიათ. აბა, სხვა რა ვიფიქრო, დავიჯერო, 2008-ში ანგელოზები იყვნენ და ახლა ეშმაკებად გარდაიქცნენ? ერთი ეგ არი, მაშინ უკრაინას არ უკიჟინებდნენ, საქართველოს დაეხმარეთ, საქართველოს გვერდით დადექით, გვამებით შეეხიდეთო. რაც ახლა ჩვენს თავს ტრიალებს, ეს ამ პროექტის ერთ-ერთი ახალი ნიუანსია, სადაც ჩაწერილია, რომ რუსეთი უნდა შეაწუხონ სამი მხრიდან - მოლდოვიდან, საქართველოდან და უკრაინიდან, ეს კი საშუალებას მისცემს აშშ-სა და მის ვასალ ევროპას, გამოფიტონ და ძალა გამოაცალონ იგივე რუსეთს. ამ უზარმაზარ ქვეყანას გამოეცლება თუ არა ძალა, ეგ სხვა საკითხია, მაგრამ პროექტი ასეთია და ეს პროექტი ჩავარდა.

●

რამდენიმე ევროპარლამენტარი ორი დღე იმყოფებოდა თბილისში. ისინი შეხვდნენ პოზიციას, ოპოზიციას, პრემიერ-მინისტრს, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს, არასამთავრობოებს და რაც მთავარია, მიხეილ სააკაშვილის ოჯახის წევრებს, მათ შორის ახალ სიძეს, მიშას პირად ექიმს. გვარს არ დავასახელებ. კი იძახის ეს კაცი, გიული არ შემირთავსო, მაგრამ მე პირადად არ მჯერა, ყველგან ისე გაიჩითება ხოლმე, მუდამ ახალ სიძესავით იქცევა.

ევროპარლამენტის წევრებს სააკაშვილთან დაკავშირებით ისეთი არაფერი უთქვამთ, არ უბრძანებიათ, გამოუშვით დაუყოვნებლივო. ვფიქრობ, უბრალოდ ვალი მოიხადეს და ეგ არი. რა ვალიო? იტყვით თქვენ. რას ამბობთ, რა ვალი და... სანამ სააკაშვილი „უმფროსი“ იყო, გარე პოლიტიკოსებისთვის და ე.წ. დიპლომატებისთვის 23 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, ახლა - არაფერი, ფოჩიანი კანფეტებიც კი არა!

ისინი ასე დაგვემშვიდობნენ ვიოლა ფონ კრამონის პირით:

„ჩვენ, ევროპარლამენტარები ვართ დიდი მეგობრები, დიდი მხარდამჭერები საქართველოსი, თქვენი ქვეყნის, საქართველოს მოქალაქეების და რა თქმა უნდა, მისწრაფების, რომ მიუახლოვდეთ ევროკავშირს“.

რა თქმა უნდა, ისე არ წავიდოდნენ, საშინაო დავალებები რომ არ მოეცათ, ამ დავალებებს მათ კრიტერიუმები უწოდეს - ვინაიდან, ჩვენ დაგეხმარეთ პერსონალურად (?), პოლიტიკურად და ფინანსურად, გვსურს შესრულდეს შარლ მიშელის 19 აპრილის შეთანხმება, ეს არის ევროკავშირთან ურთიერთობების საფუძველიო. ჩვენ აქ არ ვართ იმისთვის, რომ ვინმე ომში ჩავითრიოთ, პირიქით, გვსურს, თქვენი ქვეყანა სწორ გზაზე ვიხილოთ, რაც არის გზა ევროკავშირისკენო. ყველაფერი გავიგე, მაგრამ ეს პერსონალური დახმარება რას ნიშნავს, ვერ ამოვხსენი... იქნებ ის არი, მიხეილ სააკაშვილმა 2008-ში მილიარდები რომ წამოიღო და კეზერაშვილის ხელით ოფშორებში გადამალა? ალბათ!

და ბოლოს... კიდევ ერთი ნიმუში ორტრაკაობისა, ანუ ორმაგი სტანდარტისა: ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოქალაქეობა ჩამოართვა უკრაინელ ოლიგარქებს - იგორ კოლომოისკის, ვადიმ რაბინოვიჩს და გენადი კორბანს. ახლა დაწესებული სანქციები მათ აღარ შეეხებათ. ამ დროს, ეს ჩათლახები „იღწვიან“, როგორმე ბიძინა ივანიშვილს დაუწესონ სანქციები. იცით, ვინ არის იგორ კოლომოისკი? ეს არის ის ოლიგარქი, რომელმაც ზელენსკი ჩასვა პრეზიდენტის სავარძელში. ეს არის ზელენსკის მამობილი, მისი შემქმნელი, დამაარსებელი და გამომძერწავი. ზოგიერთს რომ ჰგონია, ვოლიდომირი ძაან ნიჭიერიაო, ეგრეც არ არი, ის ებრაელ კოლომოისკის მიერ გამოჩორკნილი მასალაა, რომელმაც დედა მოუტ...ნა ამხელა სახელმწიფოს - უკრაინას!

აქ უნდა დამესრულებინა, მაგრამ ესეც რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: ამ დღეებში თავი წამოყო კიდევ ერთმა უცხო სირთაოზმა - უკრაინის საელჩოს წარმომადგენელმა საქართველოში ანდრეი კასიანოვმა. თურმე მათ ჰქონდათ მოლოდინები, რომ საქართველო უკრაინას უფრო ეფექტურ დახმარებას გაუწევდა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ხედავთ? კარგად კითხულობთ? მერე იტყვიან, ჩვენ ომში არ გითრევთო. გვითრევენ კი არა, პირდაპირ გვეჭიდავებიან, გვეძიძგილავებიან, გვაიძულებენ. უფრო ეფექტურადო... ეს რას ნიშნავს, გვამებით უნდა წავეხმაროთ, ხომ? ჩემი აზრით, ეს არის უცხოეთიდან მართული მორიგი ტალღა. ჩვენ აქამდე არაერთ ტალღას გავუძელით და ამასაც გავუძლებთ - საქართველოში ომი აღარ იქნება!

ჩვენ დღეს შანსი გვაქვს ძალიან ძლიერი ქართული სახელმწიფო ავაშენოთ!

ჩვენ კიდევ იმ სისულელეს ვუკირკიტებთ, 12 პუნქტიანი გეგმა რომ ჰქვია

გვესაუბრება ანალიტიკოსი ДЕМУР

გვესაუბრება ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე:

— ბატონო დემურ, საშინაო დავალების შესასრულებლად დრო 2023 წლამდე გაგვიხანგრძლივეს. რით არის ეს განპირობებული — დრო „ქართულ ოცნებას“ მისცეს, ოპოზიციას თუ სხვა ქვემდინარებები იმალება ყოველივეს უკან?

— არ მესმის, როგორ შეიძლება 12-პუნქტიან საშინაო დავალებაზე სერიოზულად საუბარი. ეს თავიდან ბოლომდე არასერიოზული საკითხია. ევროპელების საქციელი სრულიად ღია, აშკარაა. მათ შესანიშნავად იციან, რომ საკუთარ თავს ვერ გადაახტებიან. რაც შეეხება საქართველოს წინა ხელისუფლების, აწ უკვე ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც თითქოს დასავლეთზეა ორიენტირებული, მათ ეს ყველაფერი დაფინანსებისთვის სჭირდებათ. მათი დასავლური ორიენტაცია ეს გახლავთ ფული, კეთილდღეობა. დასავლური ორიენტაცია რომ სურდეთ და იცოდნენ ეს რა არის, სულ ცოტა 30 წლის მანძილზე, 1995 წლიდან მოყოლებული, დასავლური ტიპის სახელმწიფოს აგებისთვის, გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამდნენ. იმიტომ, რომ დასავლური ორიენტაცია ეს არის განათლება, მეცნიერება, კანონიერება, თამაშის წესები. აბა, მითხარით, წინა ხელისუფლების თავხედობები, მისი წინამორბედის სრული კორუმპირებულობა, უპასუხისმგებლობა და ამჟამინდელის უშედეგობა, ეს არის დასავლური ორიენტაცია?! ასე თუ არის, მაშინ ყველაფერს შესანიშნავად აკეთებენ. გადახედეთ, რამდენი მილიარდი მივიღეთ და რა ეტყობა საქართველოს ეკონომიკას, რომ სწორი მიმართულებით მიდის?! რომელ სასამართლო რეფორმის გატარებაზეა საუბარი, როცა იქ, ამერიკელს კაბინეტი ჰქონდა და ფაქტობრივად, მოსამართლეებისგან ანგარიშებს ითხოვდა. ეს გახლავთ ნეო-ტროცკიზმი. დიახ, ეს არის ლიბერალური იმპერიალიზმი, რაც ყოველთვის ტოტალიტარული ინტერესთა ჯგუფების მიერ ხორციელდება. 1991-92 წლის ტრაგედიის შემდეგ გამოზრდილმა, ვითომ, დასავლეთზე ორიენტირებულმა პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა, სინამდვილეში კი, პროქსი ჯგუფებმა ქვეყანა დააჩოქეს, დღეს კი 12 პუნქტზე ლაპარაკობენ. ეს იმდენად სასაცილო, არასერიოზული რამ არის, რასაც საქართველოსთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ საუბრადაც კი არ ღირს.

— გამოდის, 12 პუნქტის შესრულება საქართველოს ევროკავშირში მისაღებად სულაც არ მოუთხოვიათ?

— რაში გვჭირდება, ვის სჭირდება ეს კანდიდატობა?! ჩვენ გვაქვს საკუთარი ქართული სახელმწიფო, რომელიც სამხრეთ-კავკასიაშია. სამხრეთ-კავკასია შუა აზიასთან და ახლო-აღმოსავლეთთან ერთად, მსოფლიო გეო-პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრია და ასე იქნება კიდევ 30-40 წელი, სანამ კასპიის ზღვის ნავთობსა და ბუნებრივ აირზე კონტროლი და მისი ევროპაზე ტრანსპორტირების ტრასები შეთანხმებული არ იქნება, მანამ საშინელ დაპირისპირებაში ვიქნებით. საუბარი იმაზე, რომ ევროკავშირს ვინმე სამხრეთ-კავკასიის გაკონტროლების უფლებას მისცემს, ეს არამარტო გეო-პოლიტიკური უტვინობაა, არამედ მზაკვრობა. ამიტომ, ეს ყველაფერი ფინანსებამდე დადის. არანაირი ევროკავშირი და ნატო საქართველოს არ სჭირდება. ჩვენს ქვეყანას რაც სჭირდება ეს არის ხელისუფლებაში ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, შეძლებენ ეკონომიკის განვითარებას, შეაჩერებენ მიგრაცას და ქვეყნიდან იძულებით გაყრილ ჩვენს თანამოქალაქეებს, რომელთა რიცხვი, უკვე, 2 მილიონს გასცდა, საშუალებას მისცემენ ნელ-ნელა თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ და სვლა წარმატებით გააგრძელონ. სხვა საუბარი ევროკავშირში შესვლაზე, მით უმეტეს, 2022 წლის ივლისში, ეს ნიშნავს, რომ არც ხელისუფლებამ და არც ოპოზიციამ არ იცის და არც სურს იცოდეს, თუ რა ხდება მსოფლიოში. კერძოდ, ყალიბდება ახალი წესრიგი, სადაც საქართველოს ადგილის პოვნას უნდა ვცდილობდეთ, ამის ნაცვლად, 12 პუნქტზე ვლაპარაკობთ. არადა, დღეს, შესანიშნავი საშუალებებია, რათა ძალიან ძლიერი ქართული სახელმწიფო ავაგოთ, ამ დროს, აქ, მარიონეტების ხუნტრუცია — არიქა, ევროკავშირის 12-პუნქტიანი დავალება უნდა შევასრულოთო. ერთ-ერთი პუნქტია დეოლიგარქიზაცია. რაზე ვსაუბრობთ, როცა საქართველო არის საშინლად ოლიგარქიზირებული და ეს ყველაფერი სწორედ დასავლეთის მხარდაჭერით შეიქმნა. დიახ, ეს სისტემა დასავლეთის მხარდაჭერით შეიქმნა იმიტომ, რომ მას ქართული სახელმწიფოს განვითარება კი არ აინტერესებდა, არამედ სჭირდებოდა მარიონეტი ჯგუფები და რუსების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯების გადადგმა. ანუ, რუსებისთვის პრობლემების შექმნა. სხვა მიზანი არ ყოფილა. რა, როცა საქართველოს წინა ხელისუფლებებს აფინანსებდნენ, ვერ ხედავდნენ რა სიტუაცია, რა სასამართლო, რა ოლიგარქიული ჯგუფები წარმოიქმნებოდა და ა.შ. მეორეც, საქართველოში დეოლიგარქიზაციაზე რომ საუბრობენ, რა, ამერიკა ნაკლებად ოლიგარქიზირებულია?! სწორედ 80-იან წლებში, რეიგანის დროს, რომელიც აბსოლუტურად, პოლიტიკური უვიცია, ნეოკონსერვატორებმა კონსერვატორები გამოიყენეს. ტროცკისტულ ფუძეზე დაფუძნებულმა მამამთავრებმა ამერიკასაც უდიდესი პრობლემები შეუქმნეს, რაც 4 ათეული წლის შედეგად გამოჩნდა. ასე, რომ ეს 12 პუნქტი უსაქმური, არაფრისმაქნისი ხალხის სასაუბრო თემაა.

— კიდევ ერთ-ერთი პუნქტი დეპოლარიზაციაა. ეს რამდენად მიღწევადია?

— ვინ არის დაპირისპირებული ოპოზიცია და ხელისუფლება? — ისინი ერთმანეთს აცოცხლებენ. დიახ, ერთმანეთის გარეშე განწირულნი არიან. ამიტომ, პოლარიზაციაზე საუბარი, ზღაპარია. ეს დასავლეთელმა დამკვირვებლებმა და სპეციალისტებმა შესანიშნავად იციან. უბრალოდ, საქართველოში ძალიან ძლიერია ნეო-ლიბერალური ელიტის გავლენა. მათაც, მეტი არაფერი რჩებათ — დაბრიყვებული საქართველო, რომელსაც ხან ლგბტ-ს ატენიან, ხან კიდევ ათას უაზრო რამეს. ეს დასავლური ელიტა 2022 წლის ნოემბერში აშშ-ში თავის არსებობას დაასრულებს და მერე, საქართველოში, თავისთავად, მოხდება ამ ელიტებისგან საზოგადოების და პოლიტიკის გასუფთავება, რომელთაც უკვე ყველაფერი დაანაგვიანეს.

— გამოდის, რომ თავის მოსულელების რეჟიმში გადავედით...

— ხელისუფლებებმა ცხოვრება შესანიშნავად მოიწყვეს. სააკაშვილის ხელისუფლება პარლამენტში ჩემს გვერდით იჯდა, არაფრის მქონენი, უცებ, არანორმალური სიმდიდრის მფლობელები გახდნენ. დღევანდელი ხლისუფლებიდანაც ვიცი პირები, რომლებიც 2011-12 წლებში არაფრისმქონენი იყვნენ და მილიონერები გახდნენ. ასე ხდება ყოველთვის, როცა ბელადებს მატარებლით ბალასტი მოჰყავთ, რაც უკვე 30 წელია ხელისუფლებებში გროვდება. ხელისუფლება, ბელადი იცვლება, ბალასტი რჩება. მერე, ბალასტს ბალასტი ემატება და მივიღეთ ის, რაც გვაქვს.

— რატომ იღწვის ასე, ვითომ, პრო-დასავლელი ოპოზიცია, რა აკავშირებთ, სინამდვილეში, ევროკავშირთან?

— ამ ადამიანებს რომლებიც თითქოს დასავლეთზე არიან ორიენტირებულნი, სინამდვილეში, დასავლურ კულტურასთან, იმ ბრწყინვალე ცივილიზაციასთან, რომელმაც უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია და პირველმა გახსნა ადამიანის შესაძლებლობები, არაფერი აკავშირებთ. მანახეთ, წინა ხელისუფლებიდან თუნდაც ერთი დასავლური ორიენტაციის კაცი, რომელიც იმას აკეთებს, რამაც დასავლურ სახელმწიფოებს წარმატება მოუტანა. სააკაშვილი ან მისი გარემოცვა იყო დასავლური ორიენტაციის?! ისინი ორიენტირებულნი იყვნენ ფულზე და დღესაც, ეს 12-პუნქტიანი გეგმა სწორედ ფულისთვის სჭირდებათ. სამწუხაროდ, ქართველი ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილი, საკუთარი ოჯახების, შვილების მომავალის გაწირვის ხარჯზე, თავს იბრიყვებს. რა გამოდის? — უნდათ ხალხი „პრიდუროკის“ როლში გამოიყვანონ. სამწუხაროდ, საზოგადოების საკმაო ნაწილი პრიდურკები გახადეს, რომელთაც სჯერათ, რომ ეს ხალხი ქვეყნისთვის რაიმეს გააკეთებს.

— ბატონო დემურ, 12-პუნქტიანი დავალება ხომ არ არის მოგონილი იმისთვისაც, რომ ფინალი ვადამდელი არჩევნები იყოს და ისევ, უკან შარლ მიშელის დოკუმენტთან დაგვაბრუნონ?

— შარლ მიშელის დოკუმენტზე არაერთი სარკასტული განცხადებები გავაკეთე. ასევე, იმ „პოლიტიკოსებზე“, რომლებიც „ისტუკანებივით“ იდგნენ და აჩვენეს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, უტვინოები არიან. იცით, რატომ არიან უტვინოები? — მაშინ ხელისუფლება რამდენიმე თვე მარტო იჯდა პარლამენტში. დარჩენილი იყო ერთი თვე და ხელისუფლება იძულებული გახდებოდა რიგგარეშე არჩევნები დაენიშნა. ამის ნაცვლად, ჩამოვიდა მიშელი, რომელიც ამ „კაი ბიჭებს“, „კაი პოლიტიკოსებს“ შეჰპირდა: კოალიციურ მთავრობაში ადგილები თქვენც შეგხვდებათო. ამ ოპოზიციას ადგილები და ფული უხსენე და რაზეც გინდა ხელს მოაწერენ. შედეგად, ეს სასაცილო, კარიკატურული ხალხი პარლამენტში დაჯდა. რიგგარეშე არჩევნებით „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“, ყველგან, პროპორციებს გადაინაწილებს. აქ, სხვა არაფერი შეიცვლება. ამ

ცვლილებისთვის ხალხი მზად არ არის. ასე, რომ რიგგარეშე არჩევნები არაფერს იძლევა.

— ბატონო დემურ, რატომ ავიჩემეთ ევროკავშირი, ხომ არსებობს ეკონომიკური ხასიათის სხვა გაერთიანებები, სადაც შეგვიძლია მეტი სარგებელი და მოგება ვნახოთ?

— საქმე ისაა, რომ საქართველოში ისტორიულად, ყოველთვის, გეო-პოლიტიკის ცოდნის პრობლემა იდგა. ქართველებმა გეო-პოლიტიკა არასდროს იცოდნენ, ისინი ემოციურად მოქმედებდნენ. სწორედ ამ გეო-პოლიტიკამ დაღუპა 1921 წლის ქართული სახელმწიფო. ასევე, ამან შეიწირა 1990-91 წლებში ფეხაუმდგარი ქვეყანა. დიახ, ამ გეო-პოლიტიკამ შეიწირა 2008 წელიც და დღესაც იგივე ხდება. ხელისუფლებაში უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობენ, მისი განვითარების ამბიცია აქვთ და მაშინ შესაძლებელი იქნება ისეთი სახელმწიფოს აგება, რომელიც ხალხის ინტელექტუალურ დონეს მაღლა ასწევს. ასეთი ამოცანები არ დგას. იცით, რატომ აიკვიატეს ევროკავშირი? — ამ გეო-პოლიტიკური დაპირისპირების, 90-იანი წლების, ფაქტობრივად, მარიონეტული ხელისუფლების პირობებში, შემოვიდა ის ძალები — ევროკავშირი, ამერიკა, რომელთაც სამხრეთ-კავკასიაში თავის ინტერესები ჰქონდათ. ისინი ტრადიციულ მოთამაშეებს დაემატნენ. მათ მოძებნეს მარიონეტებით შემდგარი ხელისუფლება. რევოლუციებით და მკვლელობებით მოსული ხელისუფლებისგან რას უნდა ელოდო?! ამიტომ, ეს ხელისუფლება იოლად დასამორჩილებელი იყო, კარგად დააფინანსეს და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. ხალხიც ამ ყველაფერს აჰყვა და კარგის და ცუდის გარჩევას ვერ ახერხებს. თუმცა, მას რა უნდა მოვთხოვოთ?! ეს ბრალდება შეიძლება წაუყენო აქტიურ ადამიანს, ვინც ვერ ჩამოყალიბებულა იმაზე, რომ არსებულ სიტუაციას სხვა ხედვები უნდა დაუპირისპირო, ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები მოძებნო და გარკვეულ ძალას წარმოადგენდე. ამას პარტიებზე არ ვამბობ. ყველა მცირე ქვეყანა ინტერესთა ჯგუფებმა დააყენა ფეხზე. საქართველოში ასეთი ჯგუფი, რომელიც ერთვნულ საწყისებზე იდგება, დღე და ღამ იშრომებს და ქვეყანას ამ ჭაობიდან გამოიყვანს, ჯერ არ არსებობს, მაგრამ პროცესი დაწყებულია.

— ვთქვათ, შევედით ევროკავშირში...

— სად შეხვალ, ვერსად შეხვალ. ან, რა გვინდა ევროკავშირში, როცა იგი, ამ სიტუაციაში, უზარმაზარი პრობლემების წინაშეა და ეს სწორედ გეო-პოლიტიკური დაპირისპირების გამო ხდება. ანგლოსაქსურ ელიტასა და რუსეთს შორის ბრძოლა მიდის. დიახ, ბრძოლა არის, სწორედ, ევროპისთვის. რატომ აწვდიან რუსები ყველაფერს ევროკავშირს? — იმიტომ, რომ არ უნდათ მისი განადგურება და მთლიანად ანგლო-საქსების გავლენის ქვეშ გადასვლა. ამიტომ, ერთი მხრივ ომია, ევროპა რუსეთს სანქციებს უწესებს, მეორე, მხრივ, მტერს იარაღს აწვდის. ასე ჰქვია ხომ, აბა, უკრაინელები, დღეს, რუსების მეგობრები არ არიან. შენ, მაინც ყველაფერს აწვდი, რომ მას ბუნებრივი აირი, ნავთობი, მარცვლეული, პროდუქტები, სასუქები ჰქონდეს, რათა მოსავალი მალე მიიღოს. რეალურ ომში ასე არ ხდება. ამიტომ, ეს ომი პოლიტიკის გაგრძელებაა. პოლიტიკა საომარ მოქმედებებში იმიტომ გადავიდა, რომ დასავლეთის გარკვეულმა ელიტებმა პოლიტიკური გზებით დაბალანსება არ ისურვეს და ერთ-ერთი მხარის განადგურება მოინდომეს. აი, ამას მოჰყვა წინააღმდეგობა.

— ბატონო დემურ, რა გაგრძელება აქვს რუსეთ-უკრაინის ომს? და დგას თუ არა ისევ, დღის წესრიგში საქართველოს ომში ჩაბმა?

— რა თქმა უნდა, ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და ფარული შეტევა საქართველოზე კიდევ უფრო მძლავრი იქნება, სანამ უკრაინის მოვლენები არ დასრულდება. თუმცა, უკრაინა, საუბედუროდ, განწირულია. მას არაფერი უშველის — ვერანაირი დაფინანსება, შეიარაღება ვერ გადაარჩენს. საქართველოს ომში ჩაბმის ერთადერთი მიზანია, რომ რუსეთის რამდენიმე ათასი ჯარისკაცი ამ ფრონტზე დაკავდეს. თუმცა, ამის მოსურნეებს არ უნდათ იმის გაგება, რომ ამ ომში ჩაბმის შემთხვევაში საქართველო, უბრალოდ, მიწასთან გასწორდება. სულ ექვსი ქალაქია, სადაც ძირითადი მოსახლეობაა კონცენტრირებული. ამ ქალაქებიდან აღარაფერი დარჩება. დააკვირდით, რა ხდება უკრაინაში, ეს სრული კატასტროფაა. ამ დროს, ჩვენ, გვეუბნებიან: თავისუფლება და ევროკავშირი თუ გინდათ, უნდა იომოთ და დაიხოცოთო. იცი, რა არის სასაცილო? — ეს ნაძირალა, ვითომ, დასავლური ორიენტაციის ხალხი რომ გვმოძღვრავს! თავისუფლება როგორ გინდა ასე მოიპოვო, როცა ეს უკვე გაქვს. მამაცხონებულო, შენი სახელმწიფო გაქვს, მოაწყვე იგი და იცხოვრე თავისუფლად. ევროკავშირი არის გამოსავალი? — ამ სტრუქტურაში გაწევრიანება ამათთვის არის გამოსავალი იმიტომ, რომ ფულს მიიღებენ, რასაც შესწირეს ეს ქვეყანა. საბედნიეროდ, ქართველები ვერ გაანადგურეს. ამიტომ, არაფერი გამოუვათ. ეს ნაგავი საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ავანსცენიდან, გასახვეტია. ამის დროც მოვა. სხვანაირად, ჩვენ ამ ქვეყანას დავკარგავთ. დავუბრუნდეთ, უკრაინის მოვლენებს, რომელიც მალე დასრულდება. გააქტიურდა საკითხი — გადალახავს თუ არა რუსეთი დნეპრს — დანარჩენზე კითხვა არ არსებობს. ჩემი აზრით, ეს დაკავშირებულია აშშ-რუსეთის მოლაპარაკებაზე, თუ ასეთი რამ შესაძლებელია. აშშ-ს პრეზიდენტის პოლიტიკა, საერთოდ, გონიერებას გასცდა და ნოემბერში ამერიკელები ამ უაზრობას დაასრულებენ! ქართველები ომს იგებენ უკრაინაში — ეს რას ნიშნავს? — გამაოგნებელი გონებრივი სიჩლუნგე, გაბოროტება, რეალობას მოწყვეტა და ტოტალიტარული იდეოლოგიით განადგურება ქართული სახელმწიფოსთვის უკვე საშიში ხდება. ამ კოლექტიურ გამოთაყვანებას „დასავლური ორიენტაციით“ ვერ შენიღბავ. დასავლურ ორიენტაციას და რასაც საქართველოში, ამ თითქოსდა ორიენტირებულებში ვხედავთ, ერთმანეთთან არანაირი კავშირი არ აქვს! პიროვნული განადგურება, იდიოტური აზროვნება და ღირსების დაკარგვა — აი, შედეგი. ადამიანები არ ერიდებიან საკუთარი უმეცრების საჯარო დემონსტრირებას და ამას ორიენტაციის დაფხრეწილ და წაბილწულ ზეწარში ახვევენ.

— ანუ, ჩვენი არჩევანი თავიდანვე არასწორი იყო?

— რომელი არჩევანი? — საქართველოს აქვს ერთი არჩევანი — საკუთარი სახელმწიფო. ნებისმიერი სხვა არჩევანი არის იდეოლოგია, პოლიტიკური სიშტერე და უბედურება. ჩვენ, უნდა ვიცხოვროთ მოცემულობაში. რუსეთი არის მოცემულობა, ასევე, თურქეთი, ირანი, ჩინეთიც, ევროკავშირიც და ა.შ. შენ, ადგე და თქვა: ევროკავშირი მინდა იმიტომ, რომ აქედან, რუსეთს დედა უნდა ვუტირორო, ამ იდიოტურ აზროვნებაზე დაფუძნებული ხალხი თავის სახელმწიფოს ვერასდროს ააშენებს. ამიტომ, სანამ საქართველოს საკუთარი სახელმწიფო აქვს, მის წინაშე სხვა, არანაირი არჩევანი არ დგას. ხომ გვაქვს ქვეყანა, ხოდა მას მოვუაროთ! რა ხდება დღეს? — შრომა არა, განათლება არა, პროფესიის დაუფლება არა, მეცნიერება არა და ამას ემატება საზღვარგარეთ წასული მილიონობით ადამიანი, რომელიც აქ, თანხებს აგზავნის. ქვეყანაში, უკვე, პარაზიტიზმი გაჩნდა — ქმრები არაფერს აკეთებენ, ცოლების გამოგზავნილი ფულით საყვარლებს არჩენენ, შვილები დედიკოებს, რომლებიც წლებია არ უნახავთ, 2 ათას ლარიან „აიფონებს“ სთხოვენ. ქალბატონები იქ, არანორმალურ შრომაში ხარკს იხდიან და ამ პარაზიტებს ფულს უგზავნიან. არის ოჯახები, მოხუცები, რომელბიც ამ ხალხისგან მფარველობას მართლაც საჭიროებს. მე, საუბარი მაქვს ჯანმრთელ ადამიანებზე. იცით, რამდენი ქალბატონია საზღვარგარეთ წასული? — 2 მილიონი ადამიანიდან 65%-მდე ქალია. ეს უზარმაზარი ციფრია. ჩვენ, ვლაპარაკობთ ევროპაში ინტეგრაციაზე, ამ დროს, საკუთარ ხალხს ქვეყნიდან ვყრით იმის ნაცვლად, რომ სამუშაო ადგილები აქ, შეექმნათ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ეკონომიკური პოლიტიკა შემთხვევითია?! სამუშაო ადგილები არ იქმნება და არც შეიქმნება. მიზანი გასაგებია. უახლოეს 10-15 წელიწადში, ასე თუ გაგრძელდა, ქართველები ერთვნულ უმცირესობაში გადავა და მერე, დაემშვიდობე ამ ქვეყანასაც. ყველა ვინც აქ უცხოეთიდან შემოდის, დასაქმებულია. ქართველებისთვის კი აქ, სამუშაო ადგილი არ არის და არც იქნება. ეს პრობლემა მისახედია.

— მაკ ფოლიმ განაცხადა: საქართველოზე სანქციები უნდა დაწესდესო.

— მაკ ფოლი არ გახლავთ ის პიროვნება, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს. მისი განცხადებები იმის მიმანიშნებელია, რომ იგი, სწორედ იმ ელიტას ეკუთვნის, რომელიც 2022 წლის ნოემბერში ამერიკაში, აუცილებლად, ჩაირეცხება. ამიტომ, მნიშვნელობა არ აქვს ფოლი რას ამბობს. თუ სანქციების დაწესება უნდათ დაგვიწესონ, მერე რა, რას გვაშინებენ. ამერიკელები და ევროპელები აქ, ჩამოვიდნენ და შემდგარ დედებს, პატიმრობისას დაღუპულთა მშობლებს კი არ შეხვდნენ, არამედ სააკაშვილის ოჯახს ესტუმრნენ სახლში. ამიტომ, ასეთი პარაზიტი ევროპარლამენტარები, რომლებიც საქართველოში ამ პარაზიტების მფარველები არიან, ჩვენს ქვეყანას, ყოველთვის, ფეხებზე დაიკიდებენ. მათ პოლიტიკური მიზანი აქვთ. მათ, საქართველოში სურთ სუპერმარიონეტული რეჟიმი მოვიდეს, რომელიც მათ დავალებებს შეასრულებს. არანაირი სხვა ხელისუფლება, მათ, საქართველოში არ სჭირდებათ.

— პრეზიდენტმა განაცხადა: ხელისუფლებამ ევროინტეგრაციის კურსს გადაუხვია, პირადად დავდივარ ევროპაში და ომში ჩართვაზე მოწოდება არსად გამიგიაო. ეს რას ნიშნავს?

— ვფიქრობ, ქალბატონი პრეზიდენტის ეს განცხადება წარუმატებელია. სამწუხაროდ, ეს არ არის პოლიტიკოსის განცხადება, რაც გასაკვირია იმიტომ, რომ მან, წესით, დიპლომატია კარგად უნდა იცოდეს. ეს იდეოლოგიზირებული ორიენტაცია და არიქა, ევროპული კურსის ძახილი, სასაცილოა. რა ევროპული კურსი, შეEკაი ადამიანო, კიდევ ვიმეორებ: დააყენე შენი ქვეყანა ფეხზე, მეზობელთან მეზობლური ურთიერთობა გქონდეს და მეგობრობა თუ გინდა, კი ბატონო იმეგობრე ევროკავშირთან. რა ორიენტაციაზეა ლაპარაკი? დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ორიენტაციის ქვეშ არც რუსული, არც ევროპული. ეს არის სისულელე იმიტომ, რომ ჯერ ერთი, როცა საკუთარი სახელმწიფო გაქვს, არ შეიძლება, იგი, ვინმეს, მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოაყენებინო. ჩვენ, გვინდა ევროპული ორიენტაცია რუსეთის საწინააღმდეგოდ. ეს კატასტროფული შეცდომაა. იცით ცუდი რა არის ხელისუფლების, ოპოზიციის საქციელში? — საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გაჩნია და ამ დროს, ქვეყნის ნომერი ორი სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორია. ნახეთ, რამდენი ფული მოდის რუსეთიდან, რა გადის, რა შემოდის. ფაქტობრივად, რუსეთიდან ვიკვებებით. რაში გამოიხატება ევროკავშირის პარტნიორობა? სად არის ევროკავშირიდან ეკონომიკური სარგებელი?! რატომ არ არის ევროკავშირი ნომერ პირველი სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორი?! რატომ არის თურქეთი ჩვენთვის, ამ სფეროში, ნომერ პირველი, რუსეთი კი — მეორე, გეკითხებით? სადაა ევროკავშირი? ეს უზნეობაა. მაშინ ეს ეკონომიკური პარტნიორობა უნდა ჩახსნა და რუსეთთან კავშირი, საერთოდ, არ გქონდეს. ამას ვერ გააკეთებ, რადგან ეს ქვეყნის განადგურება იქნება. კი ბატონო, რუსეთთან სასიცოცხლო პრობლემები გვაქვს, მაგრამ პოლიტიკის სფეროში ყველაფერი მოგვარებადია. თუმცა, ჩვენ, მოგვარება არ გვინდა, რადგან ეს იდეოლოგიზირებული მარიონეტები ევროპულ ორიენტაციას ფულისთვის იყენებენ. კიდევ, გეუბნებით: საქართველოს არანაირი ევროპული ორიენტაცია არ სჭირდება ისევე, როგორც არ სჭირდება რუსული ორიენტაცია. რუსები მეზობლები არიან და ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ. ვგულისხმობ, უსაფრთხოებას. რუსებისგან საფრთხე არ უნდა გვემუქრებოდეს და ასევე, ჩვენგან არ უნდა ემუქრებოდეს რუსეთს საფრთხე. რეალურად, რა ხდება? — დღეს, ჩვენ გვემუქრება რუსეთისგან საფრთხე და ჩვენც ვუქმნით რუსებს ძალიან სერიოზულ საფრთხეს. ეს საკითხი მოსაგვარებელია და ამაზე ვიფიქროთ და არა 12-პუნქტიან სისულელეზე!

თამარ შველიძე
555 23 28 24

კაპიტან გიგაურის „გამოკვლევებულობა“ გოგაშვილის „მასალებზე“ დაყრდნობით

აჰა, კიდევ ერთი ახალი ამბების დასტა... თურმე კაპიტან გიგაურის ორგანიზაციას, რატომღაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“-ს რომ უწოდებენ და სინამდვილეში „გაუმჭვირვალე სიბნელეა“, ძაან „სერიოზული“ „გამოკვლევებულობა“ ჩაუტარებია უკვე დატუსაღებულ იოსებ გოგაშვილის მიერ მიწოდებული „საიდუმლო“ მასალებზე დაყრდნობით.

თვალნი და ყურნი არ გატყუებთ, სუსი-ს უფროსის ყოფილი მოადგილის, იოსებ გოგაშვილის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე კაპიტანმა ეკა გიგაურმა ჩაატარა საფუძვლიანი „გამოკვლევებულობა“ და დაადგინა, რომ საქართველოში 2020 წელს საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა და გააყალბა „ქართულმა ოცნებამ“, ანუ ხელისუფლებამ.

როგორც ამ ორგანიზაციის მესვეურები აცხადებენ, თურმე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ დააკავეს, ამომრჩეველთა მობილიზების სქემაზე დოკუმენტები მათ გადასცა. აქვე აცხადებენ, რომ გოგაშვილის მიერ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია საჯარო წყაროებით გადაამოწმეს. რა საჯარო წყაროებით გადაამოწმეს, ვინ გამოჰკითხეს, რა მტკიცებულებები მოიპოვეს, ამას არ ამჟღავნებენ კი არა და... არ ამხელენ. პრინციპში, რაც არ აქვთ, რა უნდა გაამჟღავნონ, ან კიდევ გაამხილონ? მიუხედავად ამისა, თურმე კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მმართველი პარტიის სასარგებლოდ არაკანონიერი გზებით ამომრჩევლის ხმების მობილიზების მასშტაბური სქემა, რომლითაც მაღალი ალბათობით დასტურდება სახელმწიფო უწყებების (მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების) საარჩევნო/პარტიული მიზნებით გამოყენება.

ხედავთ, როგორი ჩაღვლარჭნილობაა? ჯერ ერთი, ამათ ქართულად წერა-კითხვა ისედაც უჭირთ და მეორეც - ეს გაჭირვებულები საკითხს სპეციალურად აბუნდოვანებენ, რათა მოსახლეობამ იფიქროს, თითქოს რაღაც დიდ საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე, თითქოს რაღაც საშინელებას აეხადა ფარდა. ესე იგიო, ამბობენ „გამჭვირვალე გაჭირვებულები“, კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა მმართველი პარტიის სასარგებლოდ არაკანონიერი გზებით ამომრჩევლის ხმების მობილიზების მასშტაბური სქემაო... რომლითაცო, მაღალი ალბათობით დასტურდება გაყალბებაო. დიახ, მაღალი ალბათობითო და ეს სიტყვა - „ალბათობა“ მრავალჯერ არის ნახსენები ამ გამოკვლევაში.

მეტიც, სანამ იოსებ გოგაშვილს დაატუსაღებდნენ, ის პირადად მისულა გიგაურთან და გადაუცია ქღალდები, სადაც სიტყვა-სიტყვით წერია, რომე... მმართველი პარტიის წარმომადგენლები სხვადასხვა სახელმწიფო უწყების სერვისების გამოყენებით კონკრეტულ პირებს სავარაუდოდ (ა, კიდო, სავარაუდოდო) სთავაზობდნენ პირობითი მსჯავრის გაუქმებას, პენიტენციური დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებას, შეჩერებული და ჩამორთმეული მართვის მოწმობების აღდგენას, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდების შემსუბუქებას (გადაკვალიფიცირებას), სასჯელის მოხდის პირობების გაუმჯობესებას, წვევამდელთა სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულების გადავადებას და ასე შემდეგ.

ოღონდ იცოდეთ, რა დანაშაულობანიც კაპიტან გიგაურის ორგანიზაციის მიერ იოსებ გოგაშვილზე დაყრდნობით ჩამოითვალა, ეს გახლავთ მხოლოდ ვარაუდი. დიახ, მმართველი პარტია კი არის დამნაშავე, კი ჩაიდინა გამოუსწორებელი, ანუ უპატიებელი დანაშაული, მაგრამ სიტყვა „სავარაუდოდ“ მაინც საჭიროა - ვაი და, ამ მმართველმა პარტიამ სასამართლოში იჩივლა, მერე სად მიდიხარ, თავი ხომ უნდა იმართლო, რომ საკითხი „ასტე“ კი არა, „ისტე“ რომ იყო? ვარაუდი, აღქმა, მოჩვენება, წარმოსახვა, ზღაპარი, სიზმარი სხვა რამეებია, ხოლო რეალობა კიდევ ერთია. ამათ რეალობა არ აინტერესებთ, ესენი ვარაუდებით და აღქმებით მოქმედებენ, რა თქმა უნდა, როცა საქმე ხელისუფლების დანაშაულობებს ეხება, თორემ ფულები რეალურად მიაქვთ სახლებში, მანდ ვარაუდები და აღქმები ვერ ვარგობს.

სხვათა შორის, „გამჭვირვალე გაჭირვებულებს“ კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდა („სამართლიანი არჩევნები“), სადაც სამართლიანი არჩევნების შესახებ არაფერი იციან. ამ არასამთავრობოს მტკიცებით (ოღონდ სავარაუდოდ), მმართველი პარტია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთად საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლების შესახებ პოლიტიკურ დოსიეებს ადგენდა და საკადრო პოლიტიკის გატარებისას აღნიშნულ ინფორმაციას ეყრდნობოდა. ამის მაგალითად კვლევაში მოყვანიალია საჯარო სკოლების დირექტორების შემთხვევა, რომელსაც პოლიტიკური ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციად მიიჩნევენ.

თურმე, მმართველი პარტია, მაღალი ალბათობით, არასაჯარო წყაროებიდანაც აგროვებდა ინფორმაციას ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერების შესახებ, მათ შორის ინტერესდებოდა იმით, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოეხდინა მათზე სხვადასხვა სახელმწიფო რესურსის გამოყენებით.

არ დაიჯერებთ, სოსო გოგაშვილისგან მიღებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" და „სამართლიანი არჩევნები" იუწყებიან, რომ მმართველ პარტიასთან ერთად ამ სისტემის შემსრულებლები, სავარაუდოდ (ჰა, ჰა, ჰა... ისევ სავარაუდოდ) მაშინდელი იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი პატარიძე და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ალექსანდრე ხოჯევანიშვილი იყვნენ.

ეს ხოჯევანიშვილები და კიდევ ვიღაცები ახლა გიორგი გახარიას პარტიაში „მოღვაწეობენ“. თვითონ გოგაშვილს კიდევ ალბათ ჰგონია, მაგარი საქმე გავაკეთე, ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი ვამხილე, სამშობლოს გათავისუფლებაში ერთი მაგარი აგური დავდეო. სხვათა შორის, მისი დატუსაღებიდან რამდენიმე საათში ადვოკატმა რამაზ ჩინჩალაძემ თქვა, დოკუმენტები, რომელიც არჩევნების გაყალბებაზე უნდა გაესაჯაროებინა, სანდო ხელში იყო. გაიგონეთ? სანდო, ანუ კაპიტან გიგაურის ხელში.

სავარაუდოდ, სავარაუდოდ, სავარაუდოდ... მხოლოდ აღქმა, მხოლოდ ჭორი, მხოლოდ შეთითხნილი ზღაპრები, არც ერთი ფაქტი, არც ერთი მტკიცებულება. მეტიც, ეს არის გოგაშვილის მიერ მიცემული ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ, აქედან იკვეთება ის, თუ როგორი არ უნდა იყოს სახელმწიფო მოხელე, როგორი არ უნდა იყოს ადამიანი. დავუშვათ, ხოჯევანიშვილები იქცეოდნენ ცუდად, ხელისუფლება გადადიოდა დაუკრეფავში, თვითონ რას აკეთებდა, თვითონ ხომ მაშინ პარტიაში იჯდა შაჰინშაჰივით ფეხებმორთხმული? რას აკეთებდა, ყვერებს იფხანდა და კომპრომატებს აგროვებდა? არც ეგ საქმე სცოდნია ხეირიანად - სავარაუდოდ ესაო და სავარაუდოდ ისაო, ეს რა კომპრომატებია? ირაკლი კობახიძემ თქვა და დავეთანხმები - ასეთ „დოკუმენტებს“ დღეში ცხრაჯერ ამოვეჭდავ და გავავრცელებ, ამას რა დიდი ამბავი უნდა?

იოსებმა რამდენიმე დღის წინ მცირე წერილი გამოაქვეყნა, მე სამი გზა მქონდა - ან უნდა ჩავყოლოდი, ან წამოვსულიყავი, ან კიდევ დავრჩენილიყავი და სამშობლო მეხსნაო. მე მესამე გზა ავირჩიე, დავრჩი სამშობლოს გადასარჩენადო. როდესაც უკანონო დავალებები გახშირდა, მაშინ მივხვდი, რა სისტემაში აღმოვჩნდიო. მაშ, კაცო, არ უნდოდა და აღმოჩნდა. ჰო, კიდევ ისაო... ბიძინა ივანიშვილი მოითხოვდა, შემესრულებინა ყველანაირი დავალება და ამას თეთრი ხელთათმანებით ვერ გავაკეთებდი, დავრჩი ყველა მტკიცებულების მოსაგროვებლად, რათა სისტემა მემხილებინა და ახლა ამიტომ ვზივარ აქ, ვინც მე მაკრიტიკებთ, თუ სად ვიყავი აქამდე, გაიარეთ იმ გზის ნახევარი იმ გარემოცვაში, რაც მე მოვახერხე და ისე დამამუნათეთ. ახლა დროის კარგვის ნაცვლად, ჯობია, ეს ბინძური სისტემა დავამთავროთ და ჩემს დასჯას ყოველთვის მოახერხებთ, არ ვაპირებ ამ ქვეყნიდან არსად წასვლასო.

ისე, რაც მართალია, მართალია, ძაან მძიმე პერიოდი გაიარა იოსებ გოგაშვილმა - 8 სახლისა და ათასობით ჰექტარი მიწის ყიდვა იოლი გგონიათ? თქვენ არ იცით, რა სირთულეებთან არის ეს ყველაფერი დაკავშირებული. ეხლაო, დროის კარგვის ნაცვლად სჯობს, ეს ბინძური სისტემა დავამთავროთო... წარმოგიდგენიათ? იოსები ამბობს, ბინძური სისტემა დავამთავროთო. ესე იგი, ამან სისტემა უნდა დაამთავროს და დანარჩენი მერე ვილაპარაკოთ, როცა ხელახლა აღორძინდება. არა, ამის აღორძინება არ მოხდება, ეგ მხოლოდ აღქმების სამყაროდანაა, მაგრამ სურვილი ხომ აქვს? ეხლა ამას ჰგონია კი არა, დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილის დავალებით დაატუსაღეს. ამ დროს მე ვარ დარწმუნებული, რომ ბიძინა ივანიშვილს საერთოდ არ აინტერესებს იოსებ გოგაშვილი და მისთვის არც არაფერი დაუვალებია. თუ დავალებებზეა საუბარი, მაშინ ვახტანგ გომელაურს ეტყოდა, ეს ვისი ტიკი და ტომარა იყო? რასაც მავალებდა, თეთრი ხელთათმანებით ვერ გავაკეთებდიო... ხედავთ? ივანიშვილს მიადგა, ცდილობს, ამით წონა და ავტორიტეტი მოიმატოს, მაგრამ ჩემი ფეხები, იმ კატისა არ იყოს, ძეხვს რომ ვერ შესწვდა, ასეა ამისი საქმეც. მე გეტყვით, როგორ დასრულდება იოსების ე.წ. სკანდალი - რამდენიმე თვეში ეს ადამიანი ყველას გადაავიწყდება და სრულიად ჩვეულებრივ პატიმრად იქცევა. შეიძლება მაშინ გაიხსენოს ვინმემ, როცა სატუსაღოდან გამოვა და ვანო მერაბიშვილივით განაცხადებს, ამ შემოდგომაზე ხელისუფლებას გადავაყენებო. ქვეყანა ცალყბად გაიცინებს და ამას, ამ „მომხვეჭელაშვილს“ ისევ დაივიწყებენ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

შეიძლება მალე გიორგი გახარიამაც სოსო გოგაშვილის ბედი გაიზიაროს



გვესაუბრება
სამოქალაქო აქტივისტი
ირაკლი ჯანყარაშვილი

— ირაკლი, სანამ საუბარს დავიწყებდით, თქვენ მითხარით, რომ საინტერესო ინფორმაციას ფლობდით, რას გულისხმობდით?

— თავიდანვე გეტყვით, რომ წყაროს დასახელებისგან თავს შევიკავებ, წყაროს გათქმა არაა მიზანშეწონილი.

თუ დააკვირდებით, სუსის ყოფილი მაღლაჩინოსნის სოსო გოგაშვილის დაკავების შემდეგ ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია საეჭვოდ გააქტიურდა, აქტიურობა დაიწყო მისი პარტიის ერთ-ერთმა „კლანმა“ ხოჯევანიშვლები, ნათია მეზვრიშვილები და სხვები. ვხედავთ მათ პერიოდულ „გამონათებებს“ ტვ „პირველში“, „ფორმულაში“, „მთავარ არხზე“. საზოგადოებამ კარგად იცის, გახარია ხშირად არ ჩანს ტელევიზიების ეთერებში, გაიძვერაა, ურჩევნია პროცესებს შორიდან დაკვირდეს და ისე იმოქმედოს. ასე იყო მისი პოლიტიკაში დაბრუნების პერიოდშიც. მაგრამ რამ განაპირობა ახლა გახარიას პარტიის წევრების გააქტიურება ე.წ. ნაცტელევიზიებში, იმ არხებზე, საიდანაც მას „თვალთხარიას“ ეძახდნენ, სადაც 20 ივნისის ამბებს აბრალდებდნენ და ამბობდნენ, რაც მოხდა ყველაფერი გახარიამ პუტინის დავალებით მოაწყოო. ახლა კი მონდომებით აპიარებენ, სტუდიებში სვამენ და ყურადღებით ესაუბრებიან.

ყველას გვახსოვს, აწ უკვე გადამდგარი შს მინისტრის მოადგილე კახა საბანაძე, რომელიც თავის დროზე ყველაზე მეტად იყო დაახლოებული ყოფილ პრემიერ-მინისტრთან. როგორც შევიტყვე, სოსო გოგაშვილი სხვა პოლიტიკურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად დიდძალ, ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციებს ფლობს კახა საბანაძეზეც, რომელსაც ის, სავარაუდოდ, იწერდა სამთავრობო შეხვედრებზე და სხვა ოფიციალური საუბრების დროს. როგორც ვიცი, მას ჩანაწერები აქვს ირაკლი კობახიძეზე, თურნავაზე, ტიკარაძეზე და სხვებზე. ამ ინფორმაციების გამოჟონვამ შეიძლება პოლიტიკური პროცესები რადიკალურად შეცვალოს.

ჩემი წყაროს ინფორმაციით, საუბარია, როგორც „ქართული ოცნების“ შიგნით არსებულ მდგომარეობაზე, ასევე პირად გარჩევებზე, კობახიძე-ღარიბაშვილი-კალაძის კონფიდენციალურ საუბრებზე. ეს ინფორმაციები გამოუტანა საბანაძემ გახარიას და დღეს ინფორმაციები გახარიას ხელშია. გახარიამ მშვენივრად უწყის, რომ მის შესახებ ინფორმაციების ფაილები ინახება „სადაც ჯერ არს“, ანუ ხელისუფლებაში და სუს-ში, ყველაფერი იციან მისი კორუფციული საქმიანობის შესახებ, როგორც აწვდიდა ინფორმაციებს მისთვის „საჭირო“ ჟურნალისტებს „მთავარი“ არხისთვის, ასევე ელისო კილაძეს, ეს უკანასკნელი, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, არერთხელ დასაჩუქრებულა გიორგი გახარიასგან. ყველას გვახსოვს, კილაძე როგორ იყო გააქტიურებული ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ მისი მეორედ პრემიერად დანიშვნის პერიოდში და ეს პირდაპირ გახარიას დავალება იყო.

გიორგი გახარიას დღეს აქვს შიში, რომ, როგორც გოგაშვილს, მასაც „მიაკითხავენ“ ერთ მშვენიერ დღეს, მასაც „აღმოუჩენენ“ უკანონოდ და კორუფციული გზით შეძენილ დიდძალ ქონებას, მაგალითად, არჩევნების წინ შეძენილ ბინას პარიზში. ძალიან საინტერესოა, არც ის ე.წ. ჟურნალისტები და არც სათანადო ორგანოები, რატომ არ ინტერესდებიან, საიდან დააგროვა ამდენი ქონება და ფული გიორგი გახარიამ, რომ, მაგალითად, პარიზში ბინა ეყიდა, ის ბიზნესმენი არ ყოფილა და არავითარ კომერციულ საქმიანობაში არ ყოფილა ოფიციალურად ჩართული. ის

ფლობს სხვადასხვა კომპანიებში წილებს, რომლებიც გადაფორმებული აქვს ნათესავებსა და ახლობლებზე, მოკლედ, ქონების ის რაოდენობა ქვს დაგროვილი, რომ ჩვენნაირ სახელმწიფოში, სადაც მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს მოსახლეობის უმრავლესობა, თუ დანაშულებრივი გზით, ბიუჯეტის ხარჯზე არ გაქვს ქონება მოპოვებული, სხვანაირად ვერ გამდიდრდები. ეს მშვენივრად იცის გიორგი გახარიამაც და ახლა ნელ-ნელა ცდილობს პოლიტიკურად გააქტიურდეს, რომ მისი დაკავების შემთხვევაში ყველაფერს პოლიტიკური სარჩული მოუძებნოს. თითქოს მას, ოპოზიციონერ პოლიტიკოსს, რომელიც, მისი აზრით, რეიტინგულია საზოგადოებაში, ხელისუფლება აკავებს იმიტომ, რომ შეუშალონ პოლიტიკური აქტივობის განხორციელება. გახარია აქებს ამერიკის ელჩის და სხვა გავლენიანი უცხოელი პოლიტიკოსების მოღვაწეობას საქართველოში, უგდებს მათ ახალ „პადაჩას“, რითაც თითქოს უდასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქი, რომელსაც ისევე ვებრძვი მეც, როგორც თქვენს მიერ მართული მედია და ნჯო სექტორიო. ის კი ავიწყდება, რომ ბიძინა ივანიშვილი იყო ის „ოლიგარქი“, რომელმაც გააპრემიერა გახარია.

ჩემი ინფორმაციით, გახარიას შეხვედრები ჰქონდა წინა ხელისუფლების თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილთან, რომელსაც შეჰპირდა მის ხელთ არსებული ყველა ჩანაწერის გადაცემა, რომელიც უნდა დაუნაწილონ ე.წ. ოპოზიციურ მედიებს, რაც ნიშნავს, რომ დაიწყება ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების ახლი ეტაპი.

ჩანაწერების გადაცემის სანაცვლოდ, გახარიამ კეზერაშვილს მოსთხოვა 2024 წლის საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, მანამდე კი ტელეკომპანია „ფორმულაში“ უწყვეტი ეთერები და წინასაარჩევნოდ მისი პიარკამპანიის განხორციელება. სექტემბრიდან ყველა დავინახავთ, რომ ტელეკომპანია „ფორმულა“ მთლიანად გადაეწყობა.

ეს ის „ფორმულაა“, რომლის მთავარი პროდიუსერი და თანადამფუძნებელი გახლავთ მიხეილ მშვილდაძე, რომელიც 20 ივნისის აქციების მთავარი ორგანიზატორი იყო და გიორგი გახარიას „თვალთხარიას“ ეძახდა, ამბობდა, პუტინმა დაურეკა და დაავალა: დააარბიე აქციაო და ა.შ. სექტემბრიდან მიშა მშვილდაძე და მისი გარემოცვა დაიწყებენ გახარიას არნახულ პიარს.

— ირაკლი, ამ ინფორმაციას ზეპირად ფლობთ თუ გაქვთ მოსმენილი რომელიმე ჩანაწერი მაინც?

— ყველა ინფორმაციას ვფლობ ჩემი ინფორმატორისგან.

— რომელიმე ჩანაწერის შინაარსი მოგვიყევით?

— კიდევ ვიმეორებ: ჩანაწერებში განხილულია შიდა საუბრები, „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების კონფიდენციალური დიალოგები, ჩანაწერებში, ძირითადად, ფიგურირებს შიდა ინტრიგები. მე როგორც ვიცი, ჩანაწერები უკვე კონკრეტული ადრესატების ხელშია. კიდევ ვიტყვი, მე ვერ დავასახელებ წყაროს, რადგან წყარო რომ გავამჟღავნო, მასზე პირდაპირი ნადირობა დაიწყება და საფრთხეში ჩავაყენებ.

მე საზოგადოება მიცნობს ჩემი საზოგადოებრივი აქტიურობით, თუმცა რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან, განსაკუთრებით „ნაცმოძრაობასთან“ ჩემი ასოცირება წარმოუდგენელია, მე ღიად ვპოზიციონირებ საკაშვილის და ბოკერიას წინააღმდეგ, ამიტომ მე მომაწოდა ინფორმაცია, რომ ეს თემა ვინმეს სპეკულაციის საგანი არ გამხდარიყო. როგორც მე, ისე ჩემს წყაროსაც, გვაქვს ერთადერთი მიზანი, ის უკანონო ჩანაწერები გასაჯაროვდეს და ბოლო მოეღოს ასეთი ტიპის ანგარიშსწორებებს პოლიტიკოსებს შორის. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ კეზერაშვილსა და გახარიას აქვთ ახლო კონტაქტები და კეზერაშვილი აპირებს 2024 წლის არჩევნებისთვის ფინანსებითა და მედიით მხარი დაუჭიროს ყოფილ პრემიერ-მინისტრს.

კეზერაშვილს უზარმაზარი ფულადი რესურსი აქვს ჩადებული „ფორმულაში“, თუმცა ამ ტელეკომპანიამ თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ვისზეც დადო ფსონი — „ნაცმოძრაობაზე“, „ევროპულ საქართველოზე“, „დროაზე“ თუ „სირცხვილიაზე“, შედეგი ვერ მიიღეს, გახარია კი არწმუნებს კეზერაშვილს, რომ მას იმ ზემოთჩამოთვლილთაგან ყველაზე დიდი რეიტინგი მაქვს და ღირს მასზე გარისკვა. ყველაფერ ამაში დარწმუნდებით სექტემბრის თვიდან, როცა გიორგი გახარია ყოველ დღე „ფორმულაში“ იქნება წამოჭიმული.

— თქვენი ინფორმაციით, გიორგი გახარიას მანამდეც ჰქონდა გარკვეული კავშირები კეზერაშვილთან და სხვებთან თუ გადადგომის შემდეგ დაიწყო ამ გზების მოძიება?

— არჩევნებამდე რომ გამოქვეყნდა ბიძინა ივანიშვილის წერილი, იქ ბატონი ბიძინა შავით თეთრზე წერდა, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონდა გიორგი გახარიასთან და გახარია გახლდათ ჩვეულებრივი მოღალატე. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ცხადია, ეს ყოველივე პირად შეურაცხყოფად მიიღო მას შემდეგ, რაც ის, პრემიერობისას, საუკეთესო კრიზისმენეჯერად ჰყავდათ გამოცხადებული.

გიორგი გახარიამ ივანიშვილის სიტყვები მიიღო პირდაპირ თავდასხმად და დაიწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ, რაშიც სჭირდებოდა მძლავრი ფინანსური მხარდაჭერა. ამ მხარდაჭერის მიღება შესაძლებელი იყო ორი გზით — ბიზნესმენების მხრიდან, ანდა საკაშვილ-კეზერაშვილ-ბოკერიასგან. ამ საშში ყველაზე დიდი შესაძლებელობები დავით კეზერაშვილს გააჩნია, რომელსაც აქვს ამბიცია, არა მხოლოდ საქართველოში ლეგალურად ჩამოსვლის და მის წინააღმდეგ წამოწყებულსს საქმეების გაბათილების, არამედ კვლავ ხელისუფლების მაღალჩინოსნად დაბრუნების. კეზერაშვილი ამ მიზნით აფინანსებდა „დროას“, „სირცხვილიას“, სხვადასხვა ორგანიზაციებს, აფინანსებდა გიგა ბოკერიას პოლიტიკურ აქტივობებს, ამასობაში გამოჩნდა გახარია, რომელიც ეძებდა მოკავშირეს, კეზერაშვილიც ეძებდა მსგავსს ქართულ პოლიტიკურ სირვცეში,ორივეს ინტერესები დაემთხვა და შედგა კავშირიც.

კეზერაშვილს სასტიკი დაპირისპირება აქვს საკაშვილთან. როგორც ვიცი, მან „ფორმულას“ პირდაპირ აუკრძალა საკაშვილის ხსნებაც კი თავის ტელევიზიაში. პირაპირ თქვა კიდევაც მშვილდაძემ საყვედური საკაშვილზე და გვახსოვს, ვინმე ფარნაოზ ჭკადუა რომ დაეტაკა, როგორ ბედავ მიშაზე უარყოფით კონტექსტში საუბარს და კრიტიკასო. ასე რომ, საკაშვილსა და კეზერაშვილს შორის ყველაფერი დასრულებულია. მეტიც, კულისებში პირდაპირი ბრძოლაა გამოცხადებული მათ შორის და ეს ბრძოლა მალე ჩვენს თვალწინაც გაიშლება.

საზოგადობამ უნდა იცოდეს, რომ გახარიას ხელში არის უამრავი ფარული ჩანაწერი, რომლითაც შეეცდება, საზოგადოება კიდევ ერთხელ არიოს და ასე ვთქვათ, შოკში ჩააგდოს.

— არ მგონია, ეს იკადროს გიორგი გახარიამ.

— (ირონიული ღიმილი.) ბოდიში, ბოდიში...

ვინც მიცნობს, ყველამ იცის, რომ მე სულ ვამბობდი, მაშინაც კი, როცა გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრი იყო, რომ ის ორმაგ თამაშს თამაშობდა და არ იყო სანდო კაცი. გახარიას აქვს კორუფციული გარიგებები ბიზნესმენებთან, დეველოპერებთან, „ნამახვანის“ თემაც გაითვალისწინეთ. სახელწმიფო უსაფრთხოების სამსახურსაც და აღმასრულებელ ხელისუფლებასაც უამრავი კომპრომატი აქვს გახარიას წინააღმდეგ. სახეზეა კომპრომატების ომის წინაპერიოდი.

გახარიას ეშინია, მან არ იცის, როდის მიუკაკუნებენ კარზე და იმიტომ ჩქარობს პოლიტიკური აქტივობების დაწყებას, რომ მის მოსალოდნელ დაკავებას პოლიტიკური სარჩული მისცეს.

გოგაშვილი რომ დაიჭრეს, გიორგი გახარიამ თავისი „ტვიტერის“ გვერდზე იმავე დღეს დაწერა, რომ ივანიშვილი არის ოლიგარქი. ის ივანიშვილს შეეხო იმ რიტორიკით, რომელითაც დასავლეთი უტევს. ამით მან მიანიშნა დასავლეთს, რომ ის იყო „მათ მხარეს“.

გოგაშვილის დაკავების შემდეგ გახარიას „ტანმა უგრძნო“, რომ მასაც იგივე ბედი ელის, რადგან თვითონაც არ გახლავთ უცოდველი კრავი, როგორადაც თავს წარმოაჩენს, დიდძალი თანხები აქვს უმიზნოდ გაფლანგული პრემიერობის დროს, ისიც ეყოფა კომპრომატად გამყრელიძეს და მის შვილს პანდემიის დროს უზარმაზარი ფული რომ აშოვნინა, „ნამახვანი“, სხვა „ატკატები“ და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ექს-პრემიერმა გადაწყვიტა, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას და გახარიას დროც მოვა.

პირადად მე, არავის დაპატიმრება არ მიხარია, მაგრამ გახარიამ აკრძალული ილეთებით დაიწყო თამაში და ეს არ დაუმთავრდება კარგად.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

უმცირესობის დიქტატი



წერილი მეორე

„კარი გაუღეთ ცვლილებებს, მაგრამ მათ ნაცვლად ფასეულობებს ნუ დათმობთ!“

(დალაი ლამა)

ალან დალესის ლენცოფა

„დამთავრდება ომი, ყველაფერი როგორღაც დალაგდება, მოეწყობა და ჩვენ ყველაფერს, რაც გვაბადია... მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ ძლიერებას, გადავისვრით **ხალხის გამოსათაყვანებლად.**

ადამიანის ტვინი, ხალხის შეგნება შეიძლება შეიცვალოს. იქ ქაოსს შევქმნით, ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით **ნამდვილ ფასეულობებს ყალბით** და ვაიძულებთ მათ, იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. ჩვენ ყოველნაირად მხარს დავუჭერთ, შევაქებთ ეგრეთ წოდებულ მხატვრებს (ხელოვანთ), რომლებიც დანერგავენ ადამიანის შეგნებაში **სექსის, ძალადობის, სადიზმის, გამცემლობის** კულტს — ერთი სიტყვით, ყველაფერ ამორალურს“...

ჯონ რედტკლიფის სამსალა:

პირველი დარტყმა აქამდე წმიდათაწმიდა **ოჯახურ საწყისს უნდა მივაყენოთ**; ის როგორმე დაშლაგახლეჩამდე მივიყვანოთ. მაშინ შესაძლებლობა გვექნება, ძირფესვიანად ამოვატრიალოთ ის, რისაც დღემდე სწამდათ **ქრისტიანებს.** სანაცვლოდ ამისა, აღვზარდოთ სხვადასხვა ვნებით გატაცებული არმია, თავისუფლად გამოვუცხადოთ ღია ომი ყველაფერ იმას, რისაც სწამთ და ეთაყვანებიან ჩვენი მტრები. ჩვენ საკუთარ საქმეებში ვიყოთ კონსერვატორები, ხოლო „გოებში“ რეფორმატორული სული ავაღორძინოთ. შემდეგ კი, ამ რეფორმებს ჩვენი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი მიმართულება მივცეთ. ჩვენ უნდა ჩავერთოთ უკმაყოფილების ყოველგვარ გამოხატულებაში და ალიდან კოცონი ავაგიზგიზოთ. **თუკი ოქრო უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა კაცობრიობისა, მაშინ მეორე — უეჭველად პრესაა“.**

აი, რატომ აცხადებენ მოღალატეებედ დავით აღმაშენებელს, ერეკლე მეფეს, თავის დროზე საქართველოს შემქმნელ ხალხს, გლობალისტების მოსყიდული მომწერლო პოლიტიკანები; საქართველოს მავნედ, აი, რისთვის აცხადებდნენ ილია ჭავჭავაძეს ისინი; აი, რატომ მოუწყვეს პუტჩი გამსახურდიას და ბუში, აი, რის გამო უწოდებდა დინების აღმა მიმავალს. ბიძინა ივანიშვილს აი, რის გამო ემუქრებიან ანგარიშების გაყინვით თითქოსდა მიუკერძოებელი ბანკები, აი, რატომ შემოაგდეს დეოლიგარქიის, დებიძინაზაციის, დეივანიშვილიზაციისის თემა ევროპარლამენტის მოსყიდულმა წევრებმა.

მაგრამ ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ბატონი ბიძინას ღია წერილით მიმართვა ევროპის ამ „ყველაზე დიდ, გავლენიან და წარმატებულ პოლიტიკური ძალასთან, ევროპის სახალხო პარტიასთან“. ღია წერილი მოჰყვა 23 ევროპარლამენტარის, მათ შორის სახალხო პარტიის 19 წევრის წერილი, რომელშიც ივანიშვილს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან საქართველო ევროპის გზას ჩამოაშორა.

ამგვარი მამხილებლური განაცხადი, ცხადია, ემცხეთა ევროპის სახალხო პარტიას, რომელიც ტონის მომცემი გახლავთ მთელს ევროპარლამენტში.

ქვეყნის შიგნით საზოგადოება წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის სწრაფ და უკომპრომისო გამოძიებას ითხოვდა, ქვეყნის გარეთ კი, პირიქით, „სუფთა ფურცლიდან“ მიუთითებდნენ ასპარეზის დაწყებას, რაც, ბატონი ბიძინას აზრით, მხოლოდ დაუსჯელობას წაახალისებდა.

ევროკავშირის დროშას 12 ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამშვენებს. თავიდან ევროკავშირის ჩამოყალიბება (1967) ქვანახშირ-ლითონ-ატომის პრობლემებით გახლდათ შენიღბული, სინამდვილეში იგი ვარშავის ხელშეკრულების (1955) საპირწონედ შეიქმნა. ევროპარლამენტის დეპუტატების საერთო რაოდენობა 773-ია (ეს ციფრი შეიძლება ნაკლებიც აღმოჩნდეს ინგლისის სადღეისო პოზიციის გამო), აქედან ევროპის სახალხო პარტიას 268 მანდატი გააჩნია. და საქართველოსთვის კანდიდატობის პერსპექტივის 12-პუნქტიანი რეკომენდაციის 308 ხელმოწერა, ბუნებრივია, არ გაჭირდებოდა, ანუ არ გაძნელდებოდა დამატებით ორმოციოდე თანამზრახველის აყოლიება.

ევროპამ და აზიამ ერთობლივად, როგორც ორბოლოიანმა ჯოხმა, შექმნეს დადამიწის ფასეულობანი და არა აფრიკამ, ამერიკამ თუ ავსტრალიამ, რომლებიც წარმოადგენდნენ ცალპოლუსა სივრცეებს, ჩაკეტილ კუნძულებს.

12-პუნქტიანი რეკომენდაციის „ამობრწყინება“ საქართველოს დღენათელ ცაზე, ომის გაჩაღებისკენ კარგად შენიღბული მოწოდებაა. აქვს კი უფლება ამისთანა ორგანიზაციას ატარებდეს ნობელის პრემიას მშვიდობის დარგში?! რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს დაქოქვის უკან გაცილებით მეტი მზაკვრობაა ჩადებული. სად უნდა განვახორციელოთ ჩვენ ეს ომი?! ცხადია, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. აი, აქ ჩვენ კვლავაც ვეჯახებით ჩვენს ისტორიულ ძმებს უკვე მეორედ. პირველად ხომ შევარდნაძემ გვახოცინა ჭაბუკები ორივე მხრიდან. ახლა უფრო ფართომასშტაბიანი კავკასიური ომია მოსალოდნელი, სადაც ამ ხალხების სამუდამო დასამარებაა ნავარაუდევი. აი, ევროპარლამენტის დუჟინი (თორმეტეული) რეკომენდაცია-სამსალა. ჩამოართვით-მეთქი ნობელის პრემია მშვიდობის დარგში ომის წამსისინებელს! და გადაეცით ბრეივიკის სახელობის პრემია, რომელმაც კუნძულ უტოიას შრომის პარტიის ახალგაზრდულ ბანაკში 69 ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს. (8 ოსლოში ტერაქტრისას, სულ 77 პიროვნება!) აი, ვის უსჯიან თავისუფლების აღკვეთას 21 წლით თავისუფლებისა და დემოკრატიის მექა ევროპაში და არა სამუდამო პატიმრობას, ან ფრანგულ გილიოტინას თუ ამერიკულ ელექტრონის სკამს!

ევროკავშირი საქართველოსგან ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არ ითხოვსო, - ასე პასუხობს ევროკავშირის ელჩი საქართველოში, კარლ ჰარცელი მოქალაქეების შეკითხვაზე. მისი თქმით, ევროკავშირის ფარგლებში, საოჯახო სამართალი ევროკავშირის ქვეყნების კომპეტენციის ქვეშ რჩება და, შესაბამისად, ქორწინებასთან დაკავშირებული წესები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ინდივიდუალურად განისაზღვრება.

აქ ბატონი ელჩი გაორებულია, იგი პირდაპირ ლახვარს ასობს გულში კაცობრიობის ზნეობრივ მონაპოვარს — ბიბლიურ ფასეულობებს. შეგახსენებთ აბრაამის ძმისშვილი ლოტის მაგალითს. მისი ოჯახი სოდომურ სივრცეში ცხოვრობდა სანამ იქაურობას უფლის ანგელოზები გამოეცხადებოდნენ და მათზე ძალადობას მოიწადინებდა უზნეო მრევლი. ლოტმა ქალიშვილები მიუგდო, ამათზე იმძლავრეთო, მაგრამ ნურას უკაცრავად, ახალმოსულებზე ატყდომოდათ იშტა და მაშინ ეწვიმა სოდომს და გომორს ცეცხლის წვიმები სრულ განადგურებამდე. ეს ჩინებულად იციან ჩვენმა კეთილისმყოფელმა ევროპარლამენტარებმაც და მაინც ამ ცოდვიანობისკენ მიათრევენ საქართველოს, როცა ჩვენი პრემიერ-მინისტრი ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი** აშკარაზე აშკარად განმოიხატავს თავისი ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის დედაზრს: **ოჯახი ეს არის ქალისა და კაცის ერთობით შექმნილი სოციალური უჯრედი, წარმატებული სახელმწიფოს ბურჯი.**

ამ დროს აი, რა გვიწერია ჩვენ საქართველოს კონსტიტუციის კონსოლიდირებულ ვერსიაში:

ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.

დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. (მუხლი 9).

ადამიანის სიცოცხლე დაცულია. სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია. (მუხლი 10).

ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია **რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.** (მუხლი 11). რა ვქნათ ახლა, კონსტიტუცია ვცვალოთ ყოფილი პრეზიდენტივით, დავაკონკრეტოთ სქესი — ქალად, კაცად და სნებოვან უმცირესობად?

ქართველი კაცი იმითაც არის უნიკალური, რომ იგი მკაცრად აკონტროლებდა და აკონტროლებს ქორწინების ინსტიტუტს. ევროპელებისგან განსხვავებით მკაცრად იცავს შორ ქორწინებებს (აუტბრინდინგ), გაურბის შეუღლებებს სისხლით ნათესავებში (ინბრედული) და ამისთანა ქვეყანა, რაღაც 12-პუნქტიანი დემაგოგიით სოდომ-გომორში შეათრიო, არაფრით გამოვა!

„ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ V ყრილობაზე ბიძინა ივანიშვილის წარმოთქმული ძელგი სიტყვა ყველაფერს ნათელს მოჰფენს: **„მე მწამს საქართველოსი, მჯერა ჩვენი განსაკუთრებულობის, მჯერა ჩვენი ევროპული პერსპექტივის და ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და რომ უდიდესი წარსულის ხალხს, გვექნება ღირსეული მომავალი! ეს არის ჩემი მთავარი და აბსოლუტური მიზანი! ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და გავიმარჯვებთ!“**

ჩვენ ამ სულისკვეთებისა გვწამდა ცხრა-ათი წლის წინათაც, მოგვიანებითაც, როცა ბატონი ბიძინას აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას ვითხოვდით; ჩვენ ვენდეთ სიტყვის ძალას, როცა ყველას უმეოხოდ, უქომაგოდ მიაჩნდა დედა-საქართველო, სულ რაღაც ხუთიოდე კაცი, ხელმოწერებს ვაგროვებდით ქუჩა-ბანებში, მეტროების შესასვლელებთან, ორღობესა თუ ხევ-ხუვებში, ბატონ ბიძინა ივანიშვილის უმაღლეს ამპლუაში სახილველად. ჯერ ათასი ხელმოწერა გასრულდა, მერე — ათი ათასი, გაორმაგდა, გახუთმაგდა, გაათმაგდა და **120 000** მიაღწია. პროცესს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ნაცადი **ვაჟა კაპანაძე.** შეგროვდა 120 000 ხელმოწერა და აქ შევჩერდით, დროებით შევწყვიტეთ პროექტზე მუშაობა, ჩავაბარეთ პარლამენტარ **მამუკა მდინარაძეს,** ვინაიდან დროთა მსვლელობაში „ქართულმა ოცნებამ“ იმძლავრა, მან პირველი კოჰაბიტაციიდან ბევრი რამ ისწავლა, მეორე, **12-პუნქტიან კოჰაბიტაციამდე,** უწინარესად სახელმწიფოებრივი აზროვნება, მართლმადიდებლური ქვეყნის სადარაჯოზე დგომა!

საქართველოში განვითარებულმა ბოლო მოვლენებმა ნათლად დაგვანახა თუ ვინ არის ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, ვის შეუძლია მის კედელში ზურაბივით ჩაშენება და რადგანაც აქა-იქ ოლიგარქის რეგალიებით განქიქებულ ბატონ ბიძინა ივანიშვილს მავანთაგან ვითომ მორალური შლაგბაუმები აღემართება ქვეყნის რეალური აღმშენებლობის გზაზე; და რადგანაც იგივე შლაგბაუმს წამოუჭიმავენ ეს მავნენი საზოგადოებრივ სექტორში გადანაცვლებულ ადამიანს, **დროა გონს მოვეგოთ ჩემო მრავალტანჯულო ერო და ბერ**ო! დროა ჩვენი თამამი არჩევანი დავაფიქსიროთ უცხო ინტერესების ალაგმვის საწინდრად, მათი არასამთავრობო სექტორის ძირგამომთხრელი პოლიტიკის გასანეიტრალებლად! დროა გამოვხატოთ ჩვენი კანონიერი ნება — გვყავდეს ქართველ ხალხს საყოველთაო ნდობით აღჭურვილი **მეოხი, ქომაგი, გულშემატკ**ივარი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — **„საქართველოს ლობი“**, მისი აღმატებულების, **მართალი კაცის,** დიახ, დიახ, **მართალი კაცის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის სახ**ით. L

ლობს არ ჭირდება კენჭისყრა; ლობს არ სჭირდება ხმების უმრავლესობა გადაწყვეტილების მიღებისას; ლობი იგივე ჩვენი ყოველდღიურობის ჭირისუფალია. ლობის მიზანი ერთია — ქვეყნის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით გამოყვანა კოლაფსური მდგომარეობიდან; ლობის ძირითადი მიზანი ინვესტიციების მოზიდვაა, სადაც მთავარ პრიორიტეტად ქვეყნის აგრარული მოწყობა გვესახება სათანადო ინფრასტრუქტურით, ეროვნული და სამოქალაქო ინტეგრაცია, პოლიტიკური კონსენსუსი განსხვავებულად მოაზროვნე ელექტორატთან და არავითარ შემთხვევაში მის მუჭა დანაშაულებრივ ლიდერებთან.

ცხადია, პიროვნებას, რომელმაც თავისი ფულადი რესურსების მეტი წილი საქართელოს აღორძინების ფონდში ჩადო, დეოლიგარქიზაციას ვერ წამოაძახებენ, ვერც ანგარიშს გაუყინავენ სადმე, როგორც სხვა ქვეყნების წარმატებულ ლობებს.

აი, გური ოტობაიას დოქტრინა **ალან დალეს**ის, **ჯონ რედტკლ**იფის, ევროპარლამენტარების მოზრდილი ჯგუფის, უკეთ — „ევროპის სახალხო პარტიის“ თუ ოკეანეს გაღმა მიკერძოებით აღრენილი ვაიპოლიტიკოსების — **პრაის-კრამერ-ჰერბსტ-კელის** თუ სხვათა საპირწონედ ჩემო, ნამდვილქართველებო!

გური ოტობაია,
მწერალი

„სამყაროში არ არსებობს იარაღი და ფული, რომლის საშუალებით უკრაინა ამ ომში გაიმარჯვებს“

„სამყაროში ახალი პოლიტიკური ცივილიზაციის დაბადება იწყება“, — განაცხადა ისრაელელმა პოლიტოლოგმა და სამხედრო ექსპერტმა იაკობ კედმიმ. მსგავსი პროგნოზის საფუძველი ნამდვილად აქვს გამოცდილ დიპლომატს. ირანის დედაქალაქში გასული კვირის სამმხრივი — თურქეთის, რუსეთისა და ირანის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ შემაჯამებელ კომუნიკეში ჩაწერეს — სირიაში არსებული ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები უპირობოდ უნდა გავიდნენ ქვეყნიდან. ირანი და რუსეთი აშშ-სთან აშკარად დაპირისპირებულები არიან, მაგრამ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა. სწორედ ამიტომ არის საყურადღებო კომუნიკეში მსგავსი ჩანაწერი — ალიანსის წევრი ქვეყანა ითხოვს სირიიდან აშშ-ის გასვლას.

თეირანში გამართულ შეხვედრაზე მთავარი განსახილველი საკითხი, თავისთავად, სირიაში არსებული მდგომარეობა იყო. სამივე ქვეყანა სირიაში მშვიდობის დამყარებისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტორია. თუმცა თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი თავისი ქვეყნისთვის ხიფათის შემცველად მიიჩნევს სირიის ჩრდილოეთში არსებულ ქურთების შეიარაღებულ ფორმირებას და მათ ტერორისტებად იხსენიებს. ამიტომაც დააანონსა ჯერ კიდევ გაზაფხულზე ერდოღანმა, რომ ანტიტერორისტულ ოპერაციას დაიწყებდა. იბრაჰიმ რაისი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი შეეცადნენ, გადაეფიქრებინათ ერდოღანისთვის სამხედრო ოპერაციის დაწყება. სავარაუდოდ, შეძლეს თურქი კოლეგის დაყოლიება, რადგან ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია: „...სამხედრო ოპერაციის გარდა აუცილებელია სირიის პრობლემების პოლიტიკურ ჭრილში გადაწყვეტა“. ერდოღანის დაჟინებული მოთხოვნით კომუნიკეში ასევე ჩაწერეს: „ტერორისტები ყველგან უნდა განადგურდნენ, მიუხედავად იმისა, რა სახელს ატარებენ“.

ერთობლივი სამმხრივი შეხვედრების გარდა პრეზიდენტებს შორის პირისპირ საუბრები გაიმართა. სირიის გარდა ეკონომიკური და სხვა, მტკივნეული საკითხებიც ჰქონდათ განსახილველი. ირან-თურქეთის უთანხმოება საყოველთაოდ ცნობილია. ახლო წარსულში, თუნდაც 10 წლის წინ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ორი ქვეყანა საერთო ენის გამონახვას შეძლებდა. განსხვავებული აზრის მიუხედავად, დიალოგზე უარს არ ამბობენ. განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა. ერთი შეხედვით ისინი ბევრ სფეროში თანამშრომლობენ, ერდოღანი პუტინს „ძმას და მეგობარს“ უწოდებს, მაგრამ უთანხმოება აქვთ ცალკეულ საკითხებში. ამიტომაც მოექცა ირანის სამიტი მსოფლიოს პრესის ყურადღების ცენტრში.

ერთ-ერთი საკითხი, რაც რუსეთის უკმაყოფილებას იწვევს, თურქეთის მიერ უკრაინისთვის უპილოტო საფრენი აპარატების „ბაირაქსარის“ მიწოდებაა. თურქეთი ირწმუნება, 50 ერთეული მივყიდეთო, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ონფორმაციით, უკვე 60 აპარატი გაანადგურეს. თეირანის სამიტში მონაწილეობის გამო მკაცრად გააკრიტიკა ერდოღანი აშშ-ის და ევროპის პოლიტიკოსების ერთმა ნაწილმა — ნატოს წევრი ქვეყნის მეთაური არ უნდა ურთიერთობდეს სანქციირებული ქვეყნების ლიდერებთანო.

ახლო აღმოსავლეთიდან დაბრუნების შემდეგ საზოგადოების წინაშე სამი დღე არ ჩანდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. ამერიკელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ბაიდენის გაუჩინარების მიზეზი საუდის არაბეთში წარუმატებელი ვიზიტი იყო. სამდღიანი პაუზის შემდეგ დელავერის შტატში გამოსვლისას ბაიდენმა განაცხაადა, ონკოლოგიური დაავადება მაქვსო. თეთრ სახლში დაზუსტება მოუხდათ — რამდენიმე წლის წინ კანზე ხორცმეტი ჰქონდა, რაც ქირურგებმა მოაცილეს და არანაირი ონკოლოგიური დაავადება არ სჭირსო. „ფოქს ნიუსის“ წამყვანმა ტაკერ კარლსონმა კვლავ გაკენწლა ბაიდენი: „ ...ონკოლოგიური დაავადება კი არა, მაგას დემენცია სჭირს“. მოგვიანებით გაირკვა, ოთხჯერ აცრილ ბაიდენს კოვიდი დაუდასტურდა, თვითიზოლაციაში გადავიდა და დისტანციურად ასრულებს მოვალეობას. პირადი ექიმის თქმით, დაავადება იოლ ფორმებში მიმდინარეობს.

კრიტიკას არ იშურებს ბაიდენის მიმართ მისი წინამორბედი დონალდ ტრამპი. მან სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა: „ ...ბაიდენის მმართველობის პერიოდში აშშ-ი ღარიბ ქვეყნად გადაიქცა, იძულებული გავხდით, დახმარება სხვებს ვთხოვოთ. ამ დროს უკრაინას 60 მილიარდით დავეხმარეთ, სამაგიეროდ, ბაიდენმა საკუთარი მოქალაქეები მიატოვა“. ტრამპმა სტუდენტების ოვაციები დამსახურა.

გერმანიის ქალაქ რამშტეინში მდებარე აშშ-ის სამხედრო ბაზაზე მეოთხედ გაიმართა ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა, სადაც განიხილეს უკრაინისთვის იარაღის მიწოდების საკითხი. უკრაინელები განსაკუთრებით საარტილერიო დანადგარ „ჰაიმერით“ არიან დაინტერესებული და ბრძოლის ველზე წარმატებისთვის მინიმუმ 50 კომპლექტს ითხოვდნენ. შეკრებაზე აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა ზოგად საკითხებზე ბევრი ილაპარაკა. გადაწყდა, უკრაინა აშშ-ისგან 4 „ჰაიმერს“ მიიღებს, საფრანგეთი 6 ჰაუბიცას გადასცემს. გერმანია ტანკებისა და ჯავშანტექნიკის მიწოდებას მხოლოდ აპრილში დაიწყებს. იარაღი სთხოვა აშშ-ის კონგრესს უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმერ ზელენსკის ცოლმა ელენემ, რომელიც ჯო ბაიდენის მეუღლის, ჯილის მიწვევით იმყოფებოდა ქვეყანაში. საინტერესოა, რომ ელენე პრეზიდენტმა მიიღო, კონგრესის ტრიბუნა დაუთმეს, რაც ბევრი ქვეყნის მეთაურისთვისაც მიუწვდომელია.

პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლის ჯონ კირბის განცხადებით, აშშ-ის ადმინისტრაცია კვლავაც გააგრძელებს უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას. თუმცა, ამერიკელი მაღალი ჩინის თადარიგის ოფიცრების შეფასებით: „...სამყაროში არ არსებობს იმ რაოდენობის იარაღი და ფული, რომლის მეშვეობით უკრაინა ამ ომში გამარჯვებას შეძლებს“. თუმცა ჯონ კირბის მტკიცებით, უკრაინა გამარჯვებისთვის იბრძოლებს. ლოიდ ოსტინმა რამშტეინში განაცხადა: „...ომი უკრაინაში ფინალურ, გადამწყვეტ ფაზაში შედის“. რა იგულისხმა მინისტრმა, ჯერ უცნობია.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ სარდლებს უბრძანა, გააძლიერონ საბრძოლო მოქმედებები, მთელ უკრაინაში მკაცრად აღკვეთონ მშვიდობიან მოსახლეობაზე შეტევები. რომ გადავთარგმნოთ, ჰუმანურობა გვერდზე გადადეთო, — უბრძანა. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გასულ კვირას ვრცლად ისაუბრა რუსეთის ტელევიზიასთან. მისი განცხადებით, ამ ეტაპზე უკრაინის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება უაზრობაა.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო ლავროვის მიერ მიმდინარე მოვლენების შეფასება. მისი თქმით, უკრაინის ე. წ. დემილიტარიზაციის გეოგრაფია გაიზრდება. „...მარტში სტამბოლში შეთანხმების მიხედვით მხოლოდ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებით შემოიფარგლებოდა დემილიტარიზაცია. ახლა მათ დაემატება ხერსონის, ზაპოროჟიეს და სხვა რეგიონები. აშშ ცდილობს, შეაჯახოს რუსეთი და ევროპა, რასაც გარდაუვლად მოყვება მსოფლიო ომი“. თუმცა მინისტრს არ ეთანხმება ამერიკელი სამხედრო ექსპერტი დუგლას მაკგრეგორი: „...ევროპაში არავის უნდა რუსეთთან ომი. ევროპელებს, ათწლეულია, არავისთან და არსად უომიათ, სრულიად მომზადებლები არიან და რუსეთს წინააღმდეგობას ვერანაირად ვერ გაუწევენ“.

„ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზეც არეულობაა. გასულ კვირას რუმინეთში ვიზიტისას უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა: „... ევროპამ უნდა შეცვალოს პოლიტიკური სტრატეგია. სანქციებმა (რუსეთისთვის დაწესებულმა — გ. ბ.) შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ ოთხი ქვეყნის მთავრობა შეიწირა“. მის აზრს იზიარებს უხუცესი პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი: „...ევროპელ ლიდერებს საერთოდ არ ესმით არსებული პრობლემები“.

გია ბურდული
551 71 27 07

თამამად შეგვიძლია ვთქვათ: საქართველოს 2000 ოფიციალური მოღალატე ჰყავს

ცოტა ხნის წინ „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ქართველი მეცენატისა და ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების მოთხოვნით პეტიცია შეიქმნა.

პეტიციის ხელმომწერები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს და ევროპარლამენტს მოუწოდებენ: „დაუწესონ სანქციები რუს ოლიგარქს, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ეხმარება რუსეთს, თავი აარიდოს პუტინის რეჟიმისთვის დაწესებულ სანქციებს და ქვეყანას რუსეთის სატელიტად ქცევის საშიშროების წინაშე აყენებს. ამის საპირისპიროდ, ქართველი ხალხი ევროპული ღირებულებების ერთგულია და ერთსულოვნად მხარს უჭერს უკრაინას.

შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურების მიერ გამოაშკარავებული პუტინის გეგმა, შეცვალოს უკრაინის დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი და დააყენოს მისი მარიონეტი, ახალი არ არის. ბიძინა ივანიშვილი, რუსი ოლიგარქი და „გაზპრომის“ აქციონერი, მართავს საქართველოს თავისი მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც თანამდებობებს ინარჩუნებენ არჩევნების შედეგების უხეშად გაყალბებითა და პროტესტის ძალადობრივი ჩახშობით. საზოგადოების განწყობას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც მჭიდრო საქმიანი და პოლიტიკური კავშირები აქვს რუსეთთან, არის, ფაქტობრივად, საქართველოს ერთპიროვნული მმართველი და გადაწყვეტილებების მიმღები. ოლიგარქი ივანიშვილი არა მხოლოდ პოლიტიკურად არის დაკავშირებული რუსეთთან, არამედ მას ვალდებულებებიც აქვს რუსეთის წინაშე, ვინაიდან მთელი მისი სიმდიდრე რუსეთთანაა გადაჯაჭვული. შედეგად, არსებობს დიდი საფრთხე, რომ საქართველო უკანონო ფინანსური და ეკონომიკური ტრანსაქციების კერად იქცეს.

პეტიციაში აღნიშნულია, რომ უკრაინის მხარდაჭერის ნაცვლად, „საქართველოს ღიად პრორუსულმა მთავრობამ“ გადადგა ნაბიჯები პუტინის რეჟიმის მხარდასაჭერად:

• არ შეუერთდა რუსეთის მიმართ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს;

• არ ჩაუკეტა ცა რუსეთის თვითმფრინავებს;

• უკრაინელი ლტოლვილების დახმარება მან მთლიანად სამოქალაქო სექტორს და მოხალისეებს გადააბარა და ჯერჯერობით ამ კუთხით არანაირი გეგმა არა აქვს;

• არ შემოუშვა უკრაინული თვითმფრინავი, რომელსაც ქართველი მოხალისეები უკრაინაში უნდა გადაეყვანა;

• არ პასუხობს ქართველი მოქალაქეების ხმამაღალ მოთხოვნას, გააუქმოს ცალმხრივი უვიზო რეჟიმი რუსეთსა და საქართველოს შორის და იმოქმედოს სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე; (მთავრობა უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ ის მოქალაქეები, ვინც რუსეთიდან ადამიანების მასობრივი შემოდინების წინააღმდეგია, შოვინისტია და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას ეწევა. ის დაემუქრა მოქალაქეებს მოქმედი კანონის გამკაცრებით).

• აგრძელებს პოლიტიკურ შურისძიებას საქართველოს მესამე პრეზიდენტზე, უკრაინის მოქალაქეზე, ზელენსკის რეფორმების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეზე, მიხეილ სააკაშვილზე. პუტინის პირადი პოლიტიკური პატიმარი არის არაადამიანური და ღირსებისშემლახველი მოპყრობის მსხვერპლი.

• საქართველოს მთავრობამ დაუშვა ქვეყანაში რუსეთის მოქალაქეების მასობრივი შემოდინება, რომლებიც ჩამოსვლისთანავე არეგისტრირებენ კომპანიებს. ამავდროულად, საქართველოს მთავრობამ უარი უთხრა რუსეთში აკრძალული ოპოზიციური ტელეარხის, „დოჟდის“ ჟურნალისტს საქართველოში შემოსვლაზე.

• გაცხადდა ინფორმაცია, რომ რუსეთს სურს ქართული პროდუქციისთვის ბაზრის გახსნა. თუ საქართველოს მთავრობა ამ ნაბიჯს გადადგამს, ეს დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს სახელმწიფო ინტერესებს, შელახავს ჩვენს მეგობრობას უკრაინასთან, ჩვენს სანდოობასა და ჩვენს მომავალს.

• ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ გვსურს შევცვალოთ საქართველოს ავტოკრატიისკენ მიმავალი გზა, მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს და ევროპარლამენტარებს, დაუწესონ სანქციები საქართველოს არაფორმალურ მმართველს, ოლიგარქ ივანიშვილს, რომელიც სრულად აკონტროლებს მთავრობის სამივე შტოს, ასევე, მის თანამონაწილეებს, მათ შორის, და არა მხოლოდ პრემიერ-მინისტრს ღარიბაშვილს“. — ნათქვამია „პეტიციაში“, რომელიც, დამეთანხმებით, პეტიცია კი არა ღია „დანოსია“ არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ.

პეტიციას ხელს 2000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა. ხელმომწერებს შორის არიან ქართული საზოგადოების გარკვეული წევრები, ფსევდო-პროფესორები და ნაცაკადემიკოსები, ე.წ. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ვიცით, ვინ უთხრის ძირს ჩვენს ქვეყანას, ვინ არიან და რამდენი არიან.

დიახ, უკვე ცნობილია, რომ საქართველოს არსებობას საფრთხეს უქმნის 2000 მოღალატე, 2000 მტერი და ისინი უკვე სრულად იდენტიფიცირებულნი გახლავან. მათ თავად გათქვეს თავიანთი თავი და უტიფრად დადგნენ მტრის მხარეს ქვეყნის დასაღუპად და გასანადგურებლად.

გუშინ ერთმა მკითხველმა დამირეკა: ბიძიკოო, შენო, გურული ხაროო და ისეთი კუთხის შვილი ხარ, არ გაქვს უფლება, ქვეყანა არ გიყვარდესო, ბევრი კარგი ქართველი აჩუქა გურიამ საქართველოს, მათ შორის არის ვასილ მჟავანაძე, ერთი გაცვეთილი ჩემოდნით რომ ჩამოვიდა თბილისში, იშრომა და იღვაწა ჩვენი ქვეყნისთვის და ვალმოხდილი, პატიოსნად, „ერთი ჩემოდნით“ წავიდა ამ ქვეყნიდანო.

დავფიქრდი ამაზე. წარმოვიდგინე ჩვენი წინაპრები, ჩვენი სამშობლოსთვის თავდადებული, ამ წუთისოფლიდან გასული ადამიანები, მერწმუნეთ, წამით თვალწინ ჩამიარეს ყველამ და გამაჟრჟოლა: რას ვეტყვით ჩვენ ახლა მათ, იმ პატრიოტ ქართველ კაცებს და ქალებს: საქართველო სავსეა გველის ბუნებიანი, პატარა, ცივგულიანი არსებებით, ძირს რომ უთხრიან თქვენი სისხლით და ოფლით მორწყულ ამ ერთი მუჭა ქვეყანას, ჩვენ კი გულხელდაკრეფილი ვართ და ხელში გვადნება საქართველოო?

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, სხვა არაფერი გვექნება სათქმელი...

ამ ძნელბედობაში ერთი კაცი გამოგვიჩნდა საქართველოში სიკეთის მკეთებელი და იმის ნაკეთებ სიკეთესაც წყალში ყრიან, აუფასურებენ, ვირო მადლიო, რა გაუკეთებიაო, ფული რატომ არ ჩამოგვირიგა ყველასო, რატომ არის თვითონ შეძლებული და რატომ არ მაქვს მეც მასავით ბევრიო, ჭაბუა ამირეჯიბის კიკუსავით საწყლები — ფული, ბაბაია, ფული, ბევრი ფულიო...

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ 2012 წლიდან დაწყებული ბრძოლა ძალაშია და ეს ბრძოლა არ დამთავრდება, სანამ აქაურობას არ გაანადგურებენ ეს ავაზაკები.

2012 წელს საქართველო გათავისუფლდა ბოლშევიკურ-სიონისტური მმართველობის მრავალწახნაგიანი საცეცების ერთი რგოლისგან, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია და თუ კიდევ დაბრუნდა ჩვენი ქვეყანა სახელშეცვლილი და ახალი სახეებით ჩანაცვლებული შინაური მტარვალების ხელში, დასასრული სწორედ მაშინ დადგება.

ვინ დაარმარცხებს საქართველოს და ისევ ქართველი, სხვა მას ვერაფერს დააკლებსო, ხომ გსმენიათ და ასეცაა.

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ნაციონალები ევროპარლამენტარებს, აშშ-ის მაღალი პოლიტიკური წრეების პოლიტიკოსებს და საფინანსო ინსტიტუციებს იყენებენ, მათ შორის არის „კრედიტ სუისი“, რომლის წინააღმდეგ კარგა ხანი აწარმოებდა ბიძინა ივანიშვილი გლობალურად წარმოებულ კომპლექსურ დავას.

არაერთხელ წამოსცდენია შეგნებულად თუ შეუგნებლად ე.წ. ოპოზიციას: ბიძინა ივანიშვილის ქონება დაყადაღდესო. როგორც ამბობენ ხოლმე ასეთ დროს, ფაქტი ჯიუტია — მათ სურდათ ბიძინა ივანიშვილისთვის სამართლებრივი დავა მოეგო „კრედიტ სუისს“, ივანიშვილისთვის დაეწესებინათ სანქციები, გაეყინათ ანგარიშები, გაეკოტრებინათ, მისი ქონება ხელში ჩააეგდოთ და თავად ბიძინა ივანიშვილი ქვეყნიდან გაეძევებინათ.

ახლახან ახლადშექმნილ, სკანდალურ პოლიტიკურ შოუებზე ორიენტირებულ ერთ ტელევიზიაში ჩართვის დროს კუპრავა რომ არის, ნაციონალი, სახელი არ მახსოვს, იმან, პირდაპირ თქვა ეთერში: ბიძინა ივანიშვილს ქონება უნდა ჩამოვართვათ და ხალხს უნდა გადავცეთო.

მეგონა მომეჟურა.

ისტორიის მასწავლებლის, ცხონებული კარლო მამალაძის გაკვეთილზე მეგონა თავი, მე-20 ს.-ის დასაწყისის ბოლშევიკური რევოლუციის, განკულაკებისა და ქონების კონფისკაციის ამბებს რომ გვიყვებოდა.

●

ნაციონალური ხელისუფლების ხელწერა, მათი ქმედებები, დაფინანსების წყაროები, სისასტიკე, ულმობელობა, იდეოლოგიური თანხვედრა, თითქმის იდენტურია ბოლშევიკების ხელწერის.

დღეს კი ეს ადამიანები გვაყვედრიან თავს, ჩვენ მივდივართ „შინ, ევროპისკენ!“ თქვენ კი რუსეთუმეები ხართ, ხოლო ქართველი ქველმოქმედი ივანიშვილი რუსი ოლიგარქიაო.

როგორც რუსეთის ბოლშევიკური რევოლუცია იყო დაფინანსებული, რუსეთში არსებული დესტაბილიზაციის კერებიდან და დასავლური ფინანსური წყაროებიდან, ასევე იყო და არიან „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები და ვითომ ტელევიზიები დაფინანსებული და წაქეზებული, როგორც რუსული, ასევე დასავლური ძალებიდან და ეს არაერთხელ დამტკიცდა.

როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, მავანთათვის უცნობი იდეოლოგიის და მიმართულების ბრმად მორწმუნე-მქადაგებლებმა, ვითომ ევროპელებმა, საზოგადოების გარკვეული მასა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მომავლის და პროგრესის ნაცვლად, გაუცნობიერებლად გადაიყვანეს ძველ, დამყაყებულ კომუნისტურ რწმენაზე, ათეიზმზე და მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ძირითად არსზე — ისტორიულ მატერიალიზმზე, ანუ კლასთა ბრძოლის თეორიაზე, რომელიც არა მხოლოდ სოციალურ კლასებს გულისხმობს, არამედ ასაკობრივ და გენდერულ დისკრიმინაციასაც და „ცისფერების რევოლუციას“ პროგრესულ მოვლენად მიიჩნევს...

აი, ამ მოღალატე, ნაცფაშისტ-ნეობოლშევიკებს სურთ ივანიშვილი გააკოტრონ და საქართველოდან გააძევონ, აი, ამიტომაა პრინციპული საკითხი ბიძინა ივანიშვილის დაცვა და ამიტომ გადის ზღვარი მის დაცვასა და საქართველოს გადარჩენაზე...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რედაქციისაგან:

ასეთი შემაძრწუნებელი, სულმდაბლური, ზიზღითა და სიძულვილით გაჟღენთილი რამ, ვიდრე ეს პეტიციაა, 37-იანი წლების რეპრესიების ამსახველ არქივებში თუ გვინახავს.

ეს არის ფსკერზე დაშვებული, ყოველგვარი ზნეობრივი, მორალური ნორმებისგან დაცლილი ადამიანების ნამოქმედარი, შემზარავი, თავისი სისასტიკით, გონებაჩლუნგობით, უტიფრობით და ურცხვობით.

2000 „დანოსჩიკი“ მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებასთანა სმენს და ცრუ ბრლადებებს უყენებს ადამიანს, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული.

ეს 2000 „დანოსჩიკი“, 2000 „სტუკაჩი“, ეს 2000 ეჟოვი და იაგოდა, ვერ აცნობიერებს, რომ ბიძინა ივანიშვილს კი არ ასმენენ, არამედ, პირველ რიგში, საკუთარ სამშობლოს, ეს უსამშობლოები, ასმენენ ქართველ ხალხს და, ფაქტობრივად, მის დასჯას, მისთვის დამატებით უმძიმესი პრობლემების შემქნას მოითხოვენ.

ამ 2000 „დანოსჩიკიდან“ ზოგი პროფესორია, ზოგი მწერალი, ზოგი — მხატვარი, ზოგიც მუსიკოსი და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმოამადგენელი.

მაგრამ რა აზრი და ფასი აქვს მათ „ტიტულებს“ — მთვარი ის არის, რომ მათ ყველას ერთი საერთო სახელი აქვს — მოღალატე.

ისინი სწორედ ამ სახელით შევლენ საქართველოს ისტორიაში, ისე, რომ მათი პროფესორობა და მწერლობა არავის გაახსენდება.

საქართველომ უნდა იცოდეს თითოეული მათგანის გვარი და სახელი და მოღალატეთა იმ სიას მიამატოს, რომელიც უცებ 2000 კაცით გამრავლდა.

ვახტანგ ხარჩილავა,
„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, მწერალი

მე, ჟურნალისტი და საინფორმაციო სააგენტო “იქსნიუსის“ რედაქტორი ნინო ჯღარკავა, კონსტიტუციით მონიჭებული უფლებით, საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს ვთხოვ, დიდ ერისკაცს, ქველმოქმედს და ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილს, ბიძინა ივანიშვილს მიანიჭოს ღირსების ორდენი, ვისაც სურვილი აქვს შემომიერთდეს და მივმართოთ პრეზიდენტს ხელმოწერებით.

პატივისცემით

ნინო ჯღარკავა
ჟურნალისტი

„საერთო გაზეთის“ რედაქცია სიამოვნებით უერთდება ჟურნალისტ ნინო ჯღარკავას შესანიშნავ ინიციატივას, რომ დიდი მეცენატსა და ქველმოქმედს, ბიძინა ივანიშვილს მიენიჭოს ღირსების ორდენი.

ეს ის საქმეა, რომელიც დიდი ხნის წინ უნდა გაეკეთებინა საქართველოს!

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69

— მაინტერესებს საქორწინო ხელშეკრულების თემა. რამდენად აქტუალურია ეს საქართველოში?

— მართალია, საქართველოს თანამედროვე რეალობაში იშვიათად გვხვდება, თუმცა საქორწინო ხელშეკრულება, ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელიც ქორწინებასთან ერთად უნდა განვიხილოთ. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, საქორწინო ხელშეკრულება ”კარგად დავიწყებული ძველია“. ასეთი ხელშეკრულების ყველაზე ძველი მაგალითი ორი ათას წელზე მეტს ითვლის და ებრაელების ერთ-ერთ უძველეს სამართლებრივ ინსტიტუტს მიეკუთვნება. იმდროინდელი სამართლის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება დაქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

საქორწინო ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს, გარკვეული ვადით ან უვადოდ. მასში, ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობებია გაწერილი.

საქორწინო ხელშეკრულება, ერთი შეხედვით, სულაც არ გამოიყურება რომანტიკულად. ის იურიდიული ძალის მქონე ფორმალურ დოკუმენტს წარმოადგენს. თუ წყვილი გადაწყვეტს, რომ სჭირდება საქორწინო ხელშეკრულება, მეუღლეები უნდა დაფიქრდნენ, რა სახის პირობებს და პასუხისმგებლობებს გაუწერენ ერთმანეთს. ზოგადი მოთხოვნაა, რომ პირობები იყოს სამართლიანი და ორივე მხარისათვის მისაღები. თუ წყვილი გადაწყვეტს საქორწინო ხელშეკრულების დადებას და მათ შესაბამისი სფეროს ცოდნა არ გააჩნიათ, შესაძლოა კონსულტაციის იურისტთან გავლაც.

თუ ქორწინებაში მყოფი წყვილის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ფინანსური დაცვის მექანიზმები, მაგალითად, როგორ მოხდება უძრავი ან სხვა სახის ქონების გაყოფა განქორწინების შემთხვევაში, ამან შესაძლოა, გაზარდოს მეუღლეებს შორის პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარ და ოჯახის ფინანსებთან მიმართებაში და განამტკიცოს ურთიერთობა მეუღლეებს შორის. მეუღლეები ზოგჯერ ნანობენ, რომ ფინანსებთან დაკავშირებით თავიდანვე მეტი ინფორმაცია არ გამოიკითხეს და მერეღა აღმოაჩინეს ესა თუ ის გარემობა.

”ნეტა ეთქვა, რომ თამაშობდა”, „რომ მცოდნოდა, მასაც სესხი ქონდა აღებული, მე სხვანაირად მოვიქცეოდი“ - ფინანსებთან დაკავშირებული ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების ერთმანეთისთვის გაზიარება შეიძლება, სავალდებულო იყოს საქორწინო ხელშეკრულების ფარგლებში. როდესაც წყვილი ერთმანეთის ვალდებულებების ან სხვა ფინანსური საკითხების შესახებ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას, ეს გარემოება ეხმარება მეუღლეებს, ერთობლივი ძალისხმევით მოიძიონ გამოსავალი რთულ მდგომარეობაში.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ განქორწინებისას, საქორწინო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში მეუღლეები გაცილებით ნაკლებ სულიერ და ფიზიკურ ძალებს ხარჯავენ ერთმანეთის მიმართ წაყენებული ქონებრივი პრეტენზიების გასარკვევად, ვიდრე ეს საქორწინო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში მოხდებოდა.

საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების პრაქტიკა ნაკლებადაა მიღებული.

ითვლება, რომ თუ ერთი მხარე შესთავაზებს მეორეს ხელშეკრულების დადებას ეს ერთგვარად შეურაცხმყოფელია მეორე მხარისათვის. 1997 წლიდან 2020 წლამდე საქართველოში დაახლოებით 300 საქორწინო ხელშეკრულება დაიდო, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც საქართველოს მოქალაქესა და უცხოეთის მოქალაქეს შორის გაფორმდა.

გაითვალისწინეთ, მომავალ მეუღლესთან ერთად საქორწინო ხელშეკრულების პირობების განხილვა და შეჯერება, დაგაფიქრებთ ბევრ საკითხზე და ისეთ გაუთვალისწინებელ შემთხვევებზეც, რომლებმაც შესაძლოა მომავალში ქორწინება საფრთხის წინაშე დააყენოს.

* * *

— გარდამეცვალა ვაჟი. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც ორი წელი არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. მე ჩემს ვაჟს სიცოცხლეშივე ვაჩუქე საცხოვრებელი ბინა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე 5 თვით ადრე ისე, რომ მე არაფერი ვიცოდი, ისინი სამოქალაქო წესით დაქორწინებულან. ახლა მისმა მეუღლემ გამომიცხადა, რომ ის ქმრის მემკვიდრეა და მე ვერაფერს მივიღებ. რამდენად სამართლიანია ეს?

— მეუღლე და მშობელი, სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, არიან პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემთხვევაში, პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრეები სამკვიდროს მიიღებენ თანაბარზომიერად. შესაბამისად, თქვენი ვაჟის მიერ დატოვებული ქონება გაიყოფა ორ თანაბარ ნაწილად თქვენსა და თქვენ რძალს შორის.

გამოსათხოვარი ნერილი

ჩემს სულიერ დედას – ნელი შამუგიას

დიახ, სულიერი დედა იყო ჩემთვის, აწ ნეტარხსენებული, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ჩემი, ნელი შამუგია. დაწყებითის შემდეგ მის კლასში მოვხვდი და ჩემი ბედნიერების წუთებიც იქიდან დაიწყო. ამ სულმნათმა ადამიანმა მყისვე აუღო ალღო ჩემს ლიტერატურულ მიდრეკილებებს და არაფერს იშურებდა ჩემი უნარების ჩამოსაძერწად. სულ მეუღლის, ნეტარხსენებული აკაკი შენგელიას გვერდით ტრიალებდა. სამასწავლებლოში ერთ სკამზე ისხდნენ. აფხაზებმა თვალწინ რომ დაუხვრიტეს სათაყვანებელი ადამიანი და სამზადში დაუნაცრეს, ისიც იმ ნაცარში იქნებოდა გახვეული, ვიღაც არაკაცის კონდახის დარტყმისაგან გულწასული ლაფაროში არ გდებულიყო. ნაკვერჩხლების ცვენამ მოიყვანა გონს ჩემი სულიერი დედა, ჩემი ნელი შამუგია.

97 წელიწადი შეჰყურებდი ოტობაიის მიწა-წყალს, მის ჭირ-ვარამს; წუთითაც არ მიგიტოვებია იგი ამდენი ხნის განმავლობაში და ამიერიდან ხომ სულ მასთან ერთად ივლი, მასთან ერთად იმზეგრძელებ, ჩემო სულიერო დედავ, ჩემო ნელი მასწ!

შენი ბულოხა,
შენი გური ოტობაია.

ირანი – ჩვენი მეზობელი

ირანი გუშინ, დღეს, ხვალ

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ.“ N22-25)

ბოლშევიკებს ეს განცხადება ჰუმანურობის გამო არ გაუკეთებიათ. უბრალოდ, სამოქალაქო ომის პერიოდში, როცა ბოლშევიკებმა დაკარგეს კავკასია, უკრაინა, შუა აზია, შორეული აღმოსავლეთი, ურალი, ბალტიისპირეთი და ბელორუსია, კომუნისტური ხელისუფლება ფრონტის რკალში მოექცა და მისი ძალაუფლება მხოლოდ პეტერბურგზე (ლენინგრადზე), მოსკოვზე, ცენტრალურ სამრეწველო ოლქსა და ვოლგისპირეთზე ვრცელდებოდა, უცხოეთის მიწების მორჩილებაში შესანარჩუნებლად ბოლშევიკებს ძალები არ ჰყოფნიდათ. იმ უფლების მიცემა, რომ რუსთა კონტროლიდან დამოუკიდებლად გამოსულიყვნენ, ნიშნავდა, რომ სამომავლოდ ძალზე სახიფათო პრეცედენტი შეიქმნებოდა. ამიტომ ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო, ლამაზი ჟესტი გაეკეთებინათ და ნებით დაეთმოთ ის, რისი შენარჩუნებაც არ შეეძლოთ. მაგრამ რუსებისათვის უჩვეულო ეს პაციფიზმი დიდხანს არ გაგრძელებულა.

1918-19 წლებში ბოლშევიკებმა დაამარცხეს თეთრი გვარდია, რუსული არმია და მოსახლეობა, რომლებიც რუსეთის მეფის იმპერიის ერთგულნი დარჩნენ და რუსეთის ძალაუფლების მიმტაცებელ ბოლშევიკ ებრაელთა ხელისუფლებას ებრძოდნენ.

კომუნისტებმა დაიპყრეს ბელორუსია, უკრაინა, ჩრდილო კავკასია და ურალი. წარმატებით მიიწევდნენ წინ შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიისკენ. ამიერკავკასიის დასაპყრობად ემზადებოდნენ. საკმაოდ მოძლიერდნენ და გადაწყვიტეს, დადგა დრო მეფის რუსეთის ყოფილი ირანული სამფლობელოები „წითელ რესპუბლიკას“ — კომუნისტურ იმპერიას — სსრკს შემოვუერთოთო და სიტყვას საქმეც მოაყოლეს.

1920 წლის 18 მაისს კასპიის ზღვაზე ირანის მთავარ ქალაქ ნავსადგურს, ირანის მთლიან და ტყიან პროვინციას, სიდიდით მეორე ქალაქ ენზელს ბოლშევიკთა სამხედრო ხომალდების ესკადრა მიადგა. ქალაქი და ნავსადგური ხანმოკლე საარტილერიო ცეცხლით დაბომბა და შემდეგ ქალაქის ასაღებად დესანტი გადასხა. ამ წითელ არმიას იმ დროს ცნობილი ბოლშევიკი სარდალი თევდორე (ფიოდორ) რასკოლნიკოვი, ნადვილი გვარით, ილინი მეთაურობდა. ეს კაცი ძალზე საინტერესო ბედის მქონდე გახლდათ და მასზე საგანგებლოდ შევჩერდებით.

ილინი, ანუ შემდგომში რასკოლნიკოვი, მეფის რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის მიჩმანი იყო. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ იგი საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა, თავი გამოიჩინა, დააწინაურეს და 1919-20 წლებში კასპიის სამხედრო-საზღვაო ბოლშევიკურ ფლოტს, ფლოტილიას ხელმძღვანელობდა.

1921-23 წლებში საბჭოთა კავშირის ელჩი (ბოლშევიკური ტერმინოლოგიით, „პოლპრედი“, ანუ სრულუფლებიანი წარმომადგენელი) იყო ავღანეთში. 1930-38 წლებში ასევე ელჩი („პოლპრედი“) ესტონეთში, შემდეგ დანიაში და ბოლოს ბულგარეთში.

1938 წელს საბჭოთა მმართველმა იოსებ სტალინმა, ჯუღაშვილმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელ ბირთვში ებრაელთა, ნახევრად ებრაელთა და ჰომოსექსუალისტთა თანამდებობებიდან თანდათანობით მოხსნის, ციხე-საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყრისა და იქ მათი ამოწყვეტის 18-წლიანი ოპერაცია დაამთავრა, რომელიც ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან დაიწყო.

სტალინმა საბჭოთა ხელისუფლების სათავეში თითო-ოროლა, განსაკუთრებით ერთგული, ჰომოსექსუალისზმისაგან თავისუფალი, საქმის მცოდნე ებრაელიღა დატოვა. დანარჩენები კი, რუსებიც, ხალხის ქვედა ფენებიდან წამოსული, თავისით დაწინაურებული ახალგაზრდებით შეცვალა და ბოლშევიკური რუსეთის სათავეში რუსული ხელისუფლება მოიყვანა.

თევდორე რასკოლნიკოვმა, როდესაც ებრაელ დიდჩინოსანთა გაჟლეტის ამბავი გაიგო, საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე აუარი განაცხადა, თავი საფრანგეთს შეაფარა და სტალინს პრესაში ღია, მამხილებელი წერილით მიმართა.

ერთი წლის შემდეგ, 1938 წელს, საფრანგეთის ელიტურ საკურორტო ქალაქ ნიცაში ჩასახლებული რასკოლნიკოვი საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. იგი ფანჯრიდან გადმოვარდა...

დავუბრუნდეთ ირანს.

ინგლისმა ისარგებლა იმით, რომ 1918-19 წლებში ირანის ჩრდილოეთი ნახევარი რუსთა ოკუპაციისაგან გათავისუფლდა. თავისი საოკუპაციო სამხედრო ნაწილები ჩრდილო ირანში გადმოიყვანა და მთელი ირანი თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. ჩრდილო ირანში ჩასახლებული რუსული მოსახლეობა და საოკუპაციო ჯარი, კაზაკთა ბრიგადა, რუსეთის იმპერიისა და იმპერატორის ერთგულები დარჩნენ. დანარჩენები რუსეთში დაბრუნდნენ, თეთრგვარდიულ არმიებს შეუერთდნენ, მათთან ერთად დამარცხდნენ კომუნისტებთან ბრძოლაში და ან დაიღუპნენ ბოლშევიკთა ხელით, ანდა დასავლეთ ევროპაში გაქცევით უშველეს თავს.

სპარსეთში მათგან საკმაოდ ბევრი ხალხი დაბრუნდა. ისინი, რომლებმაც დასავლეთ ევროპაში გაქცევა ვერ შეძლეს და სპარსეთის გარდა გასაქცევი გზა აღარ ჰქონდათ.

ენზელის ქალაქ-ნავსადგურს ინგლისელ ოკუპანტთა და საბჭთა რუსეთიდან ირანში გაქცეულ რუს თეთრგვარდიელთა შერეული გარნიზონი იცავდა.

მრავალგზის აღმატებულ მტერთან ბრძოლა ინგლისელებმა და თეთრგვარდიელებმა ვერ შეძლეს და ხანმოკლე შეტაკების შემდეგ თავს გაქცევით უშველეს.

წითელმა არმიამ უბრძოლველად დაიკავა ჯერ ენზელი, შემდეგ მის მახლობლად მდებარე ქალაქი რეშტი, გილანის პროვინციის დედაქალაქი და ბოლოს მთლიანად მთელი გილანის პროვინციაც.

ირანის შაჰმა გილანის ამბები გაიგო, მაგრამ იქ თავისი ჯარები არ გაგზავნა. რუს კაზაკთა ბრიგადის რუსეთში წასვლისა და იქ სამოქალაქო იმში დაღუპვის გამო შაჰის მთავარი დასაყრდენი ირანის კაზაკთა კორპუსი, რომელიც ახლა თითქმის მთლიანად სპარსელებისაგან შედგებოდა და უკვე შაჰს ექვემდებარებოდა, ძალზე მცირერიცხოვანი და სუსტი იყო. მისი შევსება და მის ბაზაზე ახალი ირანული არმიის შექმნელა მიმდინარეობდა და ჩანასახში მყოფი თავისი ჯარი შაჰმა ბოლშევიკ დამპყრობლებს არ შეაკლა. თანაც შაჰმა იცოდა, კომუნისტ რუსთა მდგომარეობა გილანში მერყევი გახლდათ, ფიქრობდა: ისინი აქ დიდხანს ვერ გაძლებენო და შემდგომში ასეც მოხდა.

იმ დროს გილანის პროვინციის მთლიან რაიონებს სპარსელი ისლამის ნაციონალისტი პარტიზანები — ჯანგელიელები, ანუ „ტყის ძმები“ აკონტროლებდნენ. (სპარსული სიტყვიდან ჯანგელ — ტყე). ჯანგელიელები მამაცი მეომრები იყვნენ და მრავალი წლის განამვლობაში აწარმოებდნენ პატიზანულ და ტერორისტულ ომს რუსი და ინგლისელი დამპყრობლებისა და მათი მსახური ირანის შაჰის წინააღმდეგ. მათი მიზანი იყო, ქვეყანა უცხოელი და შინაური მჩაგვრელებისაგან გაეთავისუფლებინათ. გილანის პროვინციის მოსახლეობა მათ ეხმარებოდა სურსათითა და ცოცხალი ძალით. დაღუპულთა ნაცვლად ახალი პარტიზანებით ამარაგებდა. მათთვის სადაზვერვო სამუშაოს ასრულებდა და საერთოდ, ყველაფრით ეხმარებოდა.

ბოლშევიკებმა ჯანგელიელთა ბელად მირზა კუჩეკ-ხანს პარლამენტიორი (ერთ-ერთი მეომარი მხარის მიერ მოწინააღმდეგესთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი პირი) მიავლინეს და შესთავაზეს გავერთიანდეთო. პასუხად კი მიიღეს კითხვა: „კი, მაგრამ, თქვენთან, მანდ, სერგო, არის?“

როგორც გაირკვა, 1909-10 წლებში ბოლშევიკთა ბაქოს კომიტეტის გადაწყვეტილებით, 500-ზე მეტი ბოლშევიკი ტერორისტ-პარტიზანი, ანუ მათივე სიტყვებით, წითელრაზმელი, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრნენ ჩრდილო ირანში, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო. ჩასახლდნენ გილანის პროვინციაში, თავისი ტყიან-მთიანი რელიეფის გამო პარტიზანთათვის ხელსაყრელ თავშესაფარში და იქ დაიწყეს მზადება, რათა ქალაქი რეშტი იერიშით აეღოთ, შემდეგ გილანის პროვინცია დაეპყროთ, იქ რუსეთის იმპერატორისა და მისი ხელქვეითი ირანის ხელისუფლება დაემხოთ და შეექმნათ ბოლშევიკური სახელმწიფო — სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც, სინამდვილეში, ბოლშევიკური პარტიის დიქტატურა იქნებოდა.

ბოლშევიკებს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა დასჭირდათ, ამიტომ სერგო ორჯონიკიძე გილანში ადგილობრივ სპარსელ ნაციონალისტებს დაუკავშირდა. ისინი რუს და ინგლისელ დამპყრობთაგან ირანის გათავისუფლებაზე ოცნებობდნენ. სერგომ ირანელი ნაციონალისტები დაპირებებით აავსო და მათგან პარტიზანულ-ტერორისტული ჯგუფების შექმნა დაიწყო.

სპარსელ-ისლამისტ ნაციონალისტებს, რომლებიც მანამდე, ძირითადად, ხელკეტებით, შუბებითა და მშვილდ-ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი, თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღები სწორედ სერგო ორჯონიკიძემ დაურიგა, მისი ხმარებაც ასწავლა და ქალაქში იატაკქვეშა კონსპირაციული ცხოვრებისა და ტყეში პარტიზანული მოქმედებების საქმეში კარგად გაწვრთნა.

ორჯონიკიძისა და მისი რაზმის მოქმედება ირანის შაჰსა და რუსეთის კონსულთა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩენია. გილანის პროვინციასა და მის დედაქალაქ რეშტში ირანის კაზაკთა ნაწილის დამატებითი რაზმები გადაისროლეს. პროვინცია ჯარით აივსო, ბოლშევიკებს აჯანყებისა და პროვინციის დაპყრობის გეგმა ჩაეშალათ და ახლა ორჯონიკიძესა და მის რაზმს გაქცევის მეტი გზა აღარ დარჩენოდათ, რადგან მოსახლეობის მხარდაჭერაც კი არ ჰქონდათ, ამხელა დაჯგუფების დამალვა შეუძლებელი იყო და კაზაკებთან პირდაპირი შებრძოლების ძალა კი არ გააჩნდათ.

იმ დღეებში ირანის კაზაკთა ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ლიახოვი თავის ერთ-ერთ მოხსენებაში, ანუ რუს ჩინოვნიკთა სიტყვიერ რაპორტში წერდა: „ამაზე მეტი აღარ იქნება. ყველა ამიერკავკასიელი მებრძოლი (ლიახოვის სიტყვებით, ბოევიკი), აქ, სპარსეთშია გადმოსულიო“.

ორჯონიკიძისა და მისი რაზმის გარშემო სასიკვდილო რკალი თანდათან დავიწროვდა, დამალვა სულ უფრო გაძნელდა და ბოლშევიკმა ბოევიკებმა თავს გაქცევით უშველეს. მათ გილანის პროვინციაცა და საერთოდ სპარსეთიც დატოვეს და ისევ ამიერკავკასიას მიაშურეს.

მათი წასვლის შემდეგ ირანის შაჰმა და რუსმა კონსულებმა გილანის პროვინციიდან ჯარი გაიყვანეს. სერგო ორჯონიკიძისა და მის ბოევიკთა მიერ ორგანიზებულმა შეიარაღებულმა და გაწვრთნილმა ადგილობრივმა ისლამისტ-ნაციონალისტებმა ამით ისარგებლეს, თავიანთი პარტიზანული არმია „ჯანგელიელები“, ანუ „ტყის ძმები“ გააძლიერეს, შაჰისა და რუსი კონსულების ხელისუფლებასთან პარტიზანულ-ტერორისტული ომი წამოიწყეს და როცა გილანში ირანის კაზაკთა ბრიგადა ისევ შევიდა, აღმოჩნდა, რომ ჯანგელიელთა განადგურება უკვე შეუძლებელი იყო, რადგან მათ ყოველმხრივ ეხმარებოდა ადგილობრივი მოსახლეობა. რაზმებს ტყეებში უამრავი სამალავ-თავშესაფრები ჰქონდათ. როცა წითლემა არმიამ ენზელი, რეშდი და ირანის პროვინციები დაიპყრო, ჯანგელიელთა პარტიზანული დაჯგუფების მეთაურმა მირზა კუჩეკმა ბოლშევიკებთან თავისი ძველი მეგობრობა გაიხსენა. თევდორე რასკოლნიკოვის წინადადებას დასთანხმდა, თავისი რაზმები ტყიდან გამოიყვანა და ბოლშევიკებს, რომლებმაც უკვე ახალი სახელი, კომუნისტები დაირქვეს, შეუერთდა.

რეშტში, ერთობლივ მიტინგზე, სპარსეთში მანამდე არნახული ფერის — წითელი დროშა აღმართეს და მოსკოვში ვლადიმერ ლენინს (კომუნისტური ფრაზეოლოგიით, ვლადიმერ ილიას ძეს) გაუგზავნეს ტელეგრამა იმის შესახებ, რომ გილანის პროვინციაში გამოცხადდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ამის შედეგ გილანის პროვინცია ბაქოელი ბოლშევიკებით აივსო, რომლებმაც პარტია „ადალიათი“ („სამართლიანობა“) შექმნეს, კერძო საკუთრების გაუქმება გამოაცხადეს, ადგილობრივ სპარსელ მოსახლეობას შეესივნენ და მისი ძარცვა, რბევა, ცემა, შეურაცხყოფა და წამება დაიწყეს. თვით ღარიბ გლეხებსაც კი პირწმინდად ძარცვავდნენ — უკანასკნელ ბატტბსა და იხვებს ართმევდნენ და პროვინციის მოსახლეობას შიმშილლით სიკვდილისთვის წირავდნენ.

გამწარებულმა მოსახლეობამ „ჯანგელიელებსა“ და მირზა კუჩეკ-ხანს სთხოვა დახმარება: გვიშველეთ, დაგვიფარეთ ამ ნაძირლებისგანო. კუჩეკ-ხანი მოტყუებული ბოლშევიკური „დემოკრატიული“ და „თავისუფლების“ შესახებ ლაყბობითა და ცრუ დაპირებებით, ხალხს არ დაეხმარა. პირიქით, „ჯანგელიელთა“ ნაწილი ბოლშევიკებს „კლასობრივ ძმებს“ მიაშველა „პროლეტარული რევოლუციისთვის“ საჭირო ოქრო-ძვირფასეულობისა და სურსათის „ამოსაღებად“. ადგილობრივ მოსახლეობაში მძლავრმა სიძულვილმა იფეთქა, როგორც ბოლშევიკების, ასევე „ჯანგელიელების“ და თავად მირზა ხანის მიმართ.

კომუნისტები გილანის პროვინციაში ათეიზმის დანერგვას შეუდგნენ. მეჩეთების დარბევა და მუსლიმ ღვთისმსახურთა დევნა-შევიწროება დაიწყეს. თან ამბობდნენ: მირზა კუჩეკ-ხანი ჩვენი პარტიის კაცი, ბოლშევიკი არ არის, მოსახლეობისაგან ოქრო-ძვრფასეულობისა და საკვების მარაგების ამოღების გამო საყვედურის თქმა გაგვიბედა, „ჯანგელიელთა“ რაზმის უფროსობიდან გადავაყენოთ, დავაპატიმროთ და მოვკლათო. მათ თათბირს ერთმა „ჯანგელიელმა“ პარტიზანმა მოჰკრა ყური და ყველაფერი მირზა კუჩეკ-ხანს შეატყობინა. კუჩეკ-ხანმა ბოლშევიკთაგან, სერგო ორჯონიკიძისაგან ნასწავლი პარტიზანული ომის ხერხები გაიხსენა, არმიით მოულოდნელად თავს დაესხა კომუნისტებს, მათი ძირითადი მასა ამოხოცა, ხელთ იგდო იარაღის საწყობები, საბრძოლო მასალა, მარაგები და ქონება. მათ შორის მოსახლეობისთვის წართმეული ასობით კილოგრამი ოქროს სამკაულები, ზოდები და მონეტები. თითო-ოროლა ბოლშევიკმა უიარაღომ და უფულომ ძლივს გაასწრო გილანის პროვინციიდან „ჯანგელიელთა“ რაზმებს, რომლებმაც მთელი პროვინცია გაწმინდეს კომუნისტთაგან და ყველა შეპყრობილი ბოლშევიკი ადგილზევე დახვრიტეს.

(გაგრძელება იქნება)

დედამიწა - „კოსმოსური ციხე“

დასასრული, დასაწყისი იხ. „სგ.“ N23-24)

პლანეტა დედამიწა მოიცავს სხვადასხვა ზონას. მაგალითად, აქ არის ზონა, რომელსაც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ „დასავლურ სამყაროს". გეოგრაფიულად, დედამიწაზე ეს არის ევროპის ქვეყნები, აშშ, კანადა, იაპონია... ამ ზონებში მთავარი კონტინგენტი არის სინათლისათვის ნასამართლევი სულები. ასეთ ზონაში დაკავების პირობები მეტ-ნაკლებად კომფორტულია, სულების გამასწორებელი სამუშაო არ არის დამძიმებული სერიოზული მატერიალური სირთულეების გადალახვის აუცილებლობით, ფიზიკური მატარებლები (სხეულები) თავისუფლდებიან მძიმე კლიმატში გადარჩენისთვის ბრძოლის აუცილებლობისგან.

აფრიკა და ეგრეთ წოდებული „განვითარებადი" ქვეყნები ახალგაზრდებისთვის ზონაა, მსჯავრდებულთა სულები იქ მცირე პერიოდს ატარებენ.



რუსეთი, სავარაუდოდ, რანგის ცხრილში არის ერთ -ერთი ყველაზე მკაცრი და ავტორიტეტული ბანაკი „პლანეტა დედამიწის" რეიტინგში. „სეზონური" სულები აღნიშნულ ზონაში ხვდებიან, როგორც ყბადაღებული „განმეორებითი დამნაშავეები" ყველაზე მძიმე დანაშაულებისთვის ღვთაებრივი სამართლიანობის თვალსაზრისით. რუსეთი არის ყველაზე საშინელი ზონა თავისი სიდიდის გამო, მკაცრი კლიმატისა და სპეციფიკური კონტინგენტის კუთხით.

თავად რუსეთი არის კონტრასტული, ექსტრემალური ზონა. აქ ასვლა ისევე ადვილია, როგორც თავის დაღწევა. რუსი ხალხის სულები არიან გამოცდილი მსჯავრდებულები, ისინი იჯდნენ და სხედან ზეციური სამართლის „სასიკვდილო" სტატიების მიხედვით. წყნარი კუთხიდან, ყრუ, მძინარე პროვინციიდან, პატიმარს შეუძლია ასვლა ყველაზე გაუთავებელ ყაზარმებში, მაგალითად, მოსკოვში, სადაც არის ვნებების ჯვარი, „ბნელი და მსუბუქი ძალების" სასტიკი ბრძოლა, მძვინვარე ემოციები და ცდუნებათა ოკეანე. „რუსეთის" ზონა საფუძვლიანად არის გამკაცრებული, რადგან იქ, ყოველთვის იყო საკმარისი ტანჯვა და საკმარისზე მეტიც. ასე რომ, პატიმრები, რომლებმაც გაიარეს ისეთი საშინელი ზონა, როგორიცაა რუსეთი, განსაკუთრებით რეფორმებისა და ცვლილებების პერიოდში, ეს მათ შემდგომ განსხეულებაში აისახება. გარეგნულად, ეს ვლინდება მშვენიერ ცვლილებებში - ადამიანები იღებენ მატერიალურ სარგებელს, უყვარდებათ, ქმნიან ბედნიერ ოჯახს, პოულობენ სამუშაოს და ადვილად ჯანმრთელდებიან დაავადებებისგან. ზოგი მოულოდნელად სწრაფად, ტანჯვისა და ავადმყოფობის გარეშე, ჩუმად კვდება.

სავარაუდოდ, ასეთ მართალ ადამიანებთან მიმართებაში ადმინისტრაციამ უბრალოდ მიიღო გადაწყვეტილება პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.

იქ, ალბათ, შეწყალების კომისიაც მუშაობს...

„პლანეტა დედამიწის" სასჯელაღსრულების დაწესებულების სხვადასხვა სასულიერო პირი, უფრო სწორად, მათში განსახიერებული სულები, სავარაუდოდ, ასრულებენ შიდა წესრიგის სამსახურის როლს. ისინი ეხმარებიან ზონის ადმინისტრაციას დადგენილი რეჟიმის შენარჩუნებაში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია და სასარგებლოც ეკლესიებში სიარული,რათა კიდევ ერთხელ გამოვხატოთ პატივისცემა და ერთგულება ციხის ადმინისტრაციის მიმართ.

ასკეტები, ტაოისტები და სხვა იოგები ბოროტი უარყმოფები არიან, რომელთაც არ სურთ არც ნათლია და არც ნათლული. ისინი თავს იკავებენ ხმაურისგან და დაპირისპირებებისგან. ამ სულებმა იციან, როგორ გააკეთონ ეს. ესენი, როგორც წესი, არიან ძველი მსჯავრდებულები, რასაც მოჰყვება ათეულობით ფეხით მოსიარულე (განსახიერება). ასეთი სულები თითქმის თავისუფლდებიან ბედისწერისგან, თუნდაც მატერიალურ გარსში. ზოგჯერ თქვენ უნდა გადაიხადოთ მძიმე ფასი ასეთი თავისუფლებისთვის, მაგრამ უმჯობესია, გქონდეთ სწავლის ასეთი თავისუფლება.

შესაძლებელია, რომ ყველა სული არ იყოს განსახიერებული ჩვენს პლანეტაზე დასჯის მიზნით. ზოგი მოვიდა აქ თავისი ნებით, რათა შეემსუბუქებინა პატიმრების ტანჯვა, ენუგეშებინა ისინი, ესწავლებინა სიბრძნე. ბევრი ტურისტიცაა ჩამოსული ჩვენს ზონაში, რათა განიცადოს ახალი შეგრძნებები მატერიალურ სამყაროში. მიწიერი სიძნელეების დასაძლევად, სუსტი ნებისყოფის ადამიანები ეტანებიან ალკოჰოლის, სოკოს, ბეტელის კაკალს, კანაფს, ოპიუმს და ასე შემდეგ. ნარკოტიკების მოქმედება ვლინდება ყველა სიბრტყეზე . ნარკოტიკული ინტოქსიკაციის დროს ადამიანი თავის ფიზიკურ სხეულში არ ასრულებს მისთვის მინიჭებულ სოციალურ მოვალეობებს და სული გათიშულია ბედის მიერ დადგენილი ტანჯვისგან. ამდენი სული სულ ცოტა ხნის წინ გაიტაცა ამ მარტივმა გზამ მიწიერი პატიმრობის შესამსუბუქებლად და ნარკოტიკები იქცა სერიოზულ პრობლემად, როგორც ფიზიკური სამყაროს მმართველებისთვის, ასევე „პლანეტა დედამიწის" ადმინისტრაციისთვის.

ზეციურ „ოფისში“ არიან სპეციალური კურატორებიც, ანუ "ზედამხედველები" - ესენი არიან ანგელოზები, მთავარანგელოზები და წმინდანები. არავინ იცის მათი ზუსტი იერარქია. დროდადრო მფლობელები აგზავნიან ინსპექტორებს დედამიწაზე. ინსპექტორები იაზრებენ მიწიერი ადამიანების გარეგნობას, შემდეგ კი ქადაგებით, პირადი საქმეებით აძლევენ პატიმრებს მცნებებს, როგორც „შინაგანაწესს". კაცობრიობის ისტორიულ მეხსიერებაში ასეთი ინსპექტორები იყვნენ: ბუდა, ქრისტე, ზარატუსტრა, მუჰამედი. ინსპექტორების წასვლის შემდეგ გარკვეული რაოდენობის ფიგურები ჩნდება ზონაში, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ უფლებას „ცნებების ინტერპრეტაციის" და ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ასეთი „ღმერთი" გვხვდება.

ეგრეგორები მრავლდებიან გეომეტრიულ პროგრესში, მცნებები სხვადასხვაგვარად არის განმარტებული, კანონები იცვლება განსხვავებული ინტერესებით. ჩვეულებრივი პატიმრები კვნესიან უკანონობისგან და ელოდებიან მაცხოვრის მოსვლას: ინსპექტორი მოვა, ის სამართლიანად განსჯის ყველაფერს, დაისჯება უკანონო ხალხი, შეარბილებს რეჟიმს და გაორმაგებს რაციონს მართალთათვის. დროდადრო, „პლანეტა დედამიწის" ადმინისტრაცია ატარებს ამნისტიებს და მასობრივ "წმენდას" - უზარმაზარ რაოდენობას აგზავნის თავისუფლებისკენ. მატერიალურ სამყაროში ეს ვლინდება ჭირის, ქოლერის, ესპანური გრიპის მასიური ეპიდემიების, ან ომების სახით. ძალადობრივი სიკვდილი, რომელსაც თან ახლავს ფიზიკური და მორალური ტანჯვა, რასაკვირველია, მტკივნეულია მატარებლისთვის - ადამიანისთვის, მაგრამ ამავე დროს ნეტარი და შემნახველი ამ სხეულში დატყვევებული სულისთვის, რადგან წასვლის წინ განიცდის მძიმე ტანჯვას. სული წვავს თავის ნეგატიურ, „დაგროვილ" კარმას“, თავისუფლდება „სუფთა სინდისით ". შემთხვევითი არ არის, რომ იარაღით სიკვდილი ომში ყოველთვის ითვლებოდა საპატიოდ და სასურველ „გასვლად“ სხეულიდან.

რა არის ყველაზე ღირსეული გზები ჩვენი ზონიდან გასასვლელად? ალბათ, ზონიდან გაქცევის იდეალური გზა არის ცნობიერი მსხვერპლშეწირვა. მაგრამ როგორც აქტიურ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა, სიკვდილი ხალხის გადარჩენის დროს - ხანძრებზე, სტიქიურ უბედურებებზე, კატასტროფებზე, ეს ყველას ინდივიდუალური კითხვაა. როგორც ჩანს, მალე პლანეტა დედამიწის ძალა შეიცვლება, ან საერთოდ დაიხურება. რატომ? პირველ რიგში, ჩვენმა ციხემ შეწყვიტა თავისი საგანმანათლებლო, გამასწორებელი ფუნქციის შესრულება. სულები ისე მოექცნენ ადგილობრივი ხელისუფლების გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით ფულის ეგრეგორი, იმდენად შეპყრობილია ფულის გროვებით, რისხვით, შურით, სიამაყით, ამპარტავნებით, რომ ბანაკიდან ბრუნდებიან იმაზე უარესები, ვიდრე იყვნენ. ეფექტურობა უკიდურესად დაბალია, ზონა წამგებიანი და არაეფექტური გახდა. მეორეც, ტერიტორია გადატვირთულია. თუ რამდენიმე საუკუნის წინ ზონაში რამდენიმე ასეული მილიონი პატიმარი ცხოვრობდა, ახლა უკვე ექვს მილიარდზე მეტია. ასეთი ხალხმრავლობით შეუძლებელია მსჯავრდებულთა შორის ელემენტარული წესრიგის, ან ენერგოინფორმაციული ჰიგიენის ნორმების დაცვა. მესამე, ჩვენ მთლიანად დავაბინძურეთ ჩვენი ადგილი - ეკოლოგია კატასტროფულად უარესდება, ცხოველები იღუპებიან, პლანეტის მინერალური და ბიოლოგიური რესურსები ჩვენს თვალწინ იშლება, ადამიანის მოსახლეობა თავად დეგრადირდება, გადაგვარდება, საჭიროა გადატვირთვა და გაწმენდა, ეს მოხდება ყველგან და დაუყოვნებლივ ან ადგილებზე და თანდათანობით. ეს არავისთვის ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ ის ფაქტი, რომ უახლოეს მომავალში სერიოზული ცვლილებები გველის, ჩვენ შევძლებთ დავაკვირდეთ თუ შეგვიძლია. ისე, სანამ ოსტატს, თავისი დიდი სიყვარულითა და წყალობით, ჯერ არ აქვს დაფარული ზონა, როგორ შეგვიძლია ჩვენ გავაფუჭოთ დრო? როგორ ვიცხოვროთ ჩვენი სულებისთვის პლანეტა დედამიწაზე? პასუხი ერთია: როგორ და დედამიწის ზონის კანონების თანახმად...

მაგრამ, ნუ ჩივი - ჩივილი ან ტირილი ამძიმებს ტანჯვას, იწვევს შიშის მოზიდვას და პატიმრობის რეჟიმის გამკაცრებას. სისტემას (ბედს) უყვარს დაცინვა.

თქვენ მიიღებთ იმას, რასაც ითხოვთ, მაგრამ გადაიხდით განუზომლად უფრო მაღალ ფასს, ან დაკარგავთ იმას, რაც ნამდვილად არის საჭირო და ღირებული. ნებისმიერი ციხეშიც კი შეიძლება მოგვეჩვენოს თავისუფლება, თუკი შეზღუდვები არ შეგვიშლის ხელს, ვისიამოვნოთ ცხოვრებით, ვიყოთ დამკვირვებელი და მკვლევარი, არ ჩავერთოთ ყველა საქმეში. მაშინ უფრო ადვილი იქნება, ამ ციხის პირობებში დროებითი ცხოვრება.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

მსოფლიოს ყველაზე საშიში ტერორისტული ორგანიზაციები

ვინ არიან ტერორისტები? აჯანყებულები, სისხლმოწყურებული ურჩხულები ან უტვინო რობოტები, რომლებიც ადამიანებზე ნადირობენ? იქნებ, ისინი, უბრალოდ, უკეთესი მომავლისთვის იბრძვიან?

ეს და კიდევ ბევრი კითხვა აწუხებთ ადამიანებს მას შემდეგ, რაც ამ ტიპის დამნაშავეთა კასტა გაჩნდა დედამიწაზე.

გთავაზობთ ყველაზე საშიში ტერორისტული ორგანიზაციების ჩამონათვალს.

„ერაყისა და ლევანტას ისლამური სახელმწიფო“ (იგილი). ეს დაჯგუფება ჩრდილოეთ ერაყისა და დასავლეთ სირიის ნაწილს აკონტროლებს. მან შექმნა მკაცრი მმართველობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შარიატის კანონების აღსრულებას. დაჯგუფება, რომელიც აბუ ბაქარ ალ-ბაღდადმა შექმნა, იმდენად არაადამიანურ ტერორისტულ აქტებს ახორციელებს, რომ ის „ალ-ქაიდამაც“ კი დაგმო. ორგანიზაცია მთელი მსოფლიოდან იღებს მსურველებს. მის რიგებში სირიასა და ერაყში 80 ათასამდე მებრძოლია. დაჯგუფება ქადაგებს აპოკალიფსურ ხედვას. იგილის წევრები პასუხისმგებლები არიან პარიზში განხორციელებული შემზარავ ტერაქტებზეც.

„ალ-ქაიდა“. „ალ-ქაიდა“ ჩამოაყალიბეს აბდულა აზამმა, უსამა ბენ ლადენმა და სხვა მებრძოლებმა. „ალ-ქაიდა“ ვაჰაბისტური ორგანიზაციაა, რომლის მიზანი მსოფლიოში ყველა მუსულმანის გლობალურ ჯიჰადში გაერთიანება და შარიატის კანონების მკაცრი დაცვაა. „ალ-ქაიდამ“ დიდი როლი შეასრულა 1998 წელს ამერიკის საელჩოს აფეთქებაში, 11 სექტმემბრის ტერაქტის განხორციელებასა და ბალიზე 2002 წელს განხორციელებული აფეთქებებში. მიუხედავად იმისა, რომ უსამა ბენ ლადენის სიკვდილმა ბევრი ოპერაციის ჩაშლა გამოიწვია, ეს ორგანიზაცია მსოფლიოში ყველაზე სისხლისმსმელად მიიჩნევა.

„თალიბანი“. მოძრაობა „თალიბანის“ ავღანეთის განყოფილების არაკანონიერი მოღვაწეობა ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. დაჯგუფების წლიური შემოსავალი 400 მლნ დოლარს შეადგენს და მისი წყარო გამოძალვა, ადამიანებით ვაჭრობა, ნარკოტიკების გაყიდვა და სხვა სახის არაკანონიერი საქმიანობაა. მოჰამედ ომარი მისი ერთ-ერთი დამაარსებელია და დღიდან მისი დაარსებისა, 1994 წლიდან, დღემდე მისი სულიერი ლიდერია. მათ ადამიანის უფლებების უამრავი შემზარავი დარღვევა განახორციელეს, ქალების გაუპატიურებით დაწყებული, ეთნიკური წმენდითა და ბავშვი-ჯარისკაცების გადაბირებით დამთავრებული. თალიბები მსოფლიოში ყველაზე სისხლისმსმელ ტერორისტულ ორგანიზაციათა რიცხვში შედიან.

„ბოკო ხარამი“. ნიგერიის ისლამისტური დაჯგუფებაა, რომელიც დაკავშირებულია „ალ-ქაიდასთან“ და მისგანვე ფინანსდება. ამ დაჯგუფების წევრები ხმამაღლა აცხადებენ დასავლური განათლების მიუღებლობისა და 250 ნიგერიელი მოსწავლე გოგონას გატაცების შესახებ. ამტკიცებენ, რომ „ბოკო ხარამის“ წევრებმა 2009-14 წლებში 6742-მდე მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს. 2011 წელს „ბოკო-ხარამმა“ წარმატებით განახორციელა აბუჯაში მდებარე გაეროს შტაბ-ბინის დაბომბვა.

„ლაშკარე-თაიბა“. დღეისათვის მოქმედი ყველაზე ცნობილ დაჯგუფებებს შორისაა „ლაშკარ-ი-თობა“, რომელმაც სახელი მუმბაიში 2008 წელს განხორციელებული ტერაქტების შემდეგ გაითქვა. მათ ასობით მშვიდობიანი მოქალაქე იმსხვერპლეს და ქვეყანას დიდი ზარალი მოუტანეს.

„ტეხრიკ-ე-თალიბანი“ (ავღანეთი). ეს დაჯგუფება მრავალრიცხოვანი ისლამისტური დაჯგუფებების წევრია, რომელიც პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე მოქმედებენ. მათი მიზანია პაკისტანის მთავრობის დამხობა, შარიატის კანონების დაცვის უზრუნველყოფა, ასევე ნატოს ძალებთან ბრძოლა (ვიდრე ისინი ავღანეთში იმყოფებოდა). ამ დაჯგუფებამ განახორციელა 2010 წელს თაიმ-სკვერში ავტომობილის აფეთქება. მანვე აიღო პასუხისმგებლობა პაკისტანის არმიასა და სამხედრო-საზღვაო ბაზებზე, თვითმკვლელი ტერორისტების მიერ განხორციელებული აფეთქებებსა და გაეროს პაკისტანის ოფისების აფეთქებებზე.

„ჰეზბოლა“. ლიბანის შიიტური დაჯგუფება მუსულმანმა სასულიერო პირებმა შექმნეს აიათოლა ჰომეინის მეთაურობით ერთადერთი მიზნით, წინააღმდეგობა გაეწიათ ისრაელის მიერ ლიბანის ოკუპაციისთვის 1982 წელს. მათი მიზანი მკაცრად განსაზღვრული იყო, რადგან ისინი მიისწრაფვიან უცხოელების განდევნაზე, განსაკუთრებით ამერიკელებისა და მისი დასავლეთელი მოკავშირეებისა.

„ჰარაკატ-აშ-შაბაბი“. ეს დაჯგუფება ისლამური სასამართლოების დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც ისინი სომალის გარდამავალმა ფედერალურმა მთავრობამ და ეთიოპიის სამხედრო მოკავშირეებმა გაანადგურეს. დაჯგუფება 2006 წელს შეიქმნა ერთადერთი მიზნით, შეეჩერებინა სომალის უცხოური შეიარაღებული ძალები. ეს სალაფიტური ჯიჰადური დაჯგუფებაა, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკაშია ბაზირებული და 2012 წელს „ალ-ქაიდას“ შეჰფიცა ერთგულება. 2015 წელს მათ პირველი სისხლიანი თავდასხმა განახორციელეს, რომლის შედეგად კენიის უნივერსიტეტის 148 სტუდენტი დაიღუპა. ეს დაჯგუფება ტერიროსტულად ოფიციალურად აღიარა კანადამ, ავსტრალიამ, არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ.

„ჰამასი“. „ჰამასი“ პალესტინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც 1987 წელს შეიქმნა, როგორც ორგანიზაცია „ძმები-მუსულმანების“ ფილიალი. დაჯგუფება შეიქმნა ისრაელის წინააღმდეგ ჯიჰადის განხორციელებისა და ისრაელის „ოკუპაციისგან“ პალესტინის გათავისუფლების მიზნით. ცნობილია, რომ ისრაელის მთავრობის წინაღმდეგ ტერორისტული ოპერაციების განხორციელებაში „ჰამასს“ მნიშვნელოვან მხარდაჭერას უცხადებს „ჰეზბოლა“, მათ კავშირი აქვთ, ასევე, ძალიან სახიფათო თვითმკვლელ ტერორისტებთან.

„კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები“. ეს ორგანიზაცია 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა და ის მუდმივად ახორციელებს ადამიანების გატაცებას, სასარგებლო წიაღისეულის უკანონო მოპოვებასა და გამოძალვას. კოლუმბიის მთავრობამ, ჩრდილოამერიკულ, ევროპულ და ლათინოამერიკულ მთავრობებთან ერთად, კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა. მას მიაწერენ კოლუმბიაში განხორციელებულ რამდენიმე მკვლელობას, თავდასხმას და აფეთქებას. ის მსოფლიოში ნარკოტიკებით უმსხვილესი მოვაჭრე ორგანიზაციაა.

„ქურთისტანის მუშათა პარტია“. ეს დაჯგუფება 1978 წელს ჩამოყალიბდა და ქურთისტანის დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. მიუხედავად იმისა, რომ ის ოფიციალურად არის აღიარებული ტერორისტულ დაჯგუფებად, ის მოქმედებს ისეთ რეგიონებში, როგორიცაა თურქეთი, სირია, ირანი და ერაყი და დასავლეთის მედიასაშუალებების წყალობით განიხილება დადებით ჭრილში, როგორც ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია. მიუხედავად ამისა, მისი ოფიციალური სტატუსი — ეს არის ტერირისტული და აჯანყებულთა ორგანიზაციაა და ფულსაც ირანიდან იღებს. ქურთისტანის მუშათა პარტიას რამდენიმე გავლენიანი ლობისტური ფირმა აქვს, რომლებიც ვაშინგტონში მდებარეობს. სწორედ ეს ფირმები უზრუნველყოფს მათ „გათეთრებას“ ამერიკულ მედიაში.

„ირლანდიის რესპუბლიკური არმია“ (ირა). 1913 წელს ჩამოყალიბებული ეს ორგანიზაცია ირლანდიაში იმ დროს ბაზირებული ირლანდიელი მოხალისეებისგან შეიქმნა. 1919-21 წლებში ირა პასუხისმგებლობას იღებდა ბრიტანელების წინააღმდეგ ომის გამო. ეს ომი ულმობელი იყო და ორივე მხარე დიდ დანაკარგებამდე მიიყვანა. ეს დაჯგუფება არსებობს იმ მიზნით, რომ გაანადგუროს ჩრდილოეთი ირლანდია და შექმნას ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო, რათა განახორციელოს ოცნება ირლანდიის რესპუბლიკის შესახებ. ირა-მ პასუხისმგებლობა აიღო რამდენიმე მკვლელობაზე (მათ შორის, ლორდ მაუნტბეტენის მკვლელობის გამო 1979 წელს) და რამდენიმე ავტომობილის აფეთქებაზე.

ადამიანები უგუნურებივით იქცევიან — არ ინდობენ ერთმანეთს, მონობაში ამყოფებენ, აფეთქებენ, კლავენ... გარეთ კი 2022 წელია...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).
http://www.saertogazeti.ge

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99